

GEORGIEN



ქართული ლეგიონის
საველე ბიბლიოთეკა

№ 1

63760

სიბღენები

ბრელივი 1943

ქართული ენის საფელეგოზლიოთეკა

Nr. 1

ჩვენი სიმღერები

735

ბერლინი 1948



მთავარი რედაქტორი: ასმეთაური გვი მაღაურიძე.

წიგნის რედაქტორი: ოცმეთაური ლ. ლინი.

წიგნის ყდა და სურათები ასმეთაურ ე. ევგენიძისა და
დ. მიხეილიძისა.

გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა.

ბერლინი. ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა.

ს. ს. ციციანი
გაიქვეყნა
1943 წლის
1943

ქართული ლექსების სავალეზიბლიოთეკა

Nr. 1

ჩვენი სიმღერები

ბერლინი 1943

მთავარი რედაქტორი: ასმეთაური გაი მადაურიძე.

წიგნის რედაქტორი: ოცმეთაური ლ. ლინი.

წიგნის ყდა და სურათები ათმეთაურ ე. ევგენიძისა და
დ. მიხეილიძისა.

გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა.

ბერლინი. ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა.



მროვნულ-გამანთავის უფლებელი ბაძოლის პოეზია

სამშობლო, ბრძოლა დაჩაგრული მამულის აღორ-
ძინებისათვის იყო და არის ქართული პოეზიის შთამა-
გონებელი წყარო. ჩვენი მაღლიანი ქვეყნის მიწაზე
მრავალ გზის დაგუბებულა უძირო ჭმუნვა. უღმო-
ბელ მტრებს ცეცხლით გადაუფერფლავთ ჩვენი ერ-
ის დიდება, მაგრამ ჟამთა სიღვეს მაინც ვერ აღმოუქ-
ვეთავს ბრწყინვალე წარსული, ვერ წარუშლია მისი
სახელოვანი კვალი. მწარე ბედმა ქართველ ხალხს
ასწავლა მტერთან შეურიგებლობა, იგი იბრძოდა სა-
უკუნეთა მანძილზე, სისხლით სწერდა თავის ისტორი-
ას. მტერთაგან შევიწროებულნი, ჩვენი წინაპრები
თუ ხმლის ტრიალათ ვეღარ აღსდგებოდნენ, დამდა-
გავის ხმით მაინც დაიქუხებდნენ, რომ სულ არ გამ-
ქრალიყო იმედის კელაპტარი, წყვდიადიდან გამოე-
ტანათ რწმენის ლამპარი და ხალხის გულში მამულის
აღდგომისათვის გაღვივებული სურვილი აეტოკე-
ბინათ.

ქართული პოეზია ჩვენი ერის მღელვარე ცხოვრე-
ბისა და სულიერი წვის გამომსახველი სარკეა. უნაპი-
რო სევდა, ელფეიურა ჰანგები, ქვიტიანი წარსულ
დიდებაზე წითელი ზოლივით გასდევს მთელს ქარ-
თულს პოეზიას, მაგრამ ეს კაეშანი არ ყოფილა პირა-
დი, ვიწრო ინდივიდუალური. ამ ნაღველს აგუბებდა

და სათავეს აძლევდა სამშობლოს მწარე ხვედრი. ეროვნული მონობის დამსხვრევის წყურვილი ისე ძლიერი იყო, რომ პოეტი თავის კალამს უსტარად აქცევდა, უბრძოლველად არ გადიოდა ასპარეზიდან. მამულის წმინდა სამსხვერპლოზე ხმალთან ერთად მიჰქონდა ჩანგიც, რომ ჩამოეკრა ცრემლით დათრთვილულ სიმთათვის და ფანატიკური სიკერპით ემღერა ხალხის გასამხნეველად.

გოდება მამულზე ქართული პოეზიის ტრადიციაა. ეროვნულ ნაღველს თავისი პირველი ძირები შორეულ წარსულში გაუდგამს და იქედან უსაზრდოებია მთელი თაობანი. ცხოვრების სიმუხთლით გამწარებული მგოსანი მოსთქვამდა სოფლის გაუტანელობაზე. ოდესღაც დიდი ბესიკი გულმხურვალედ ღვრიდა ცხელ ცრემლს „სევდის ბაღში“, დ. გურამიშვილი, რომლის შემოქმედებაშიაც ჩამოიქნა ქართული ლექსი, დამდაგავის ხმით ჰგოდებდა მამულზე „ცეცხლის კეკერის“ მობრუნების გამო.

„დამიმონა კაეშანმა,
სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნაღველს ვხმარობ მუდამ მეღნად,
გულსა ვიწვევ მისად კალმად“ — ამბობს

პოეტი. დ. გურამიშვილის შემდეგ ეს ცრემლი არ შეშრობია ჩვენს პოეზიას. საქართველოს წარსულ დიდებაზე ასეთის გულისამადაუღებლობითა და ნაღველით არავის უტირია, როგორც 1832 წლის შეთქმულების გმირთ. მამულის ამ სახელოვანი შვილების ტრადიული შხამი, რომელიც ბრძოლის ველზე დამარცხებამ ამოიტანა გულსაწვავ ღრუბლად, მთლიანად გადაეშვა მათს ღირიულ ამღერებაში. გამტყუნდა ხმალი, მაგრამ მგზნებარე იყო პოეტის ჩანგი და ქარ-

თული სიტყვა რუსთაველის გენიით გამოზრდილი და მისი ძუძუით ნაზიარები. მართალია 1832 წლის შეთქმულებამ ვერ მოასწრო გაეშალა საბრძოლო დროშა, მამულის მეჭირნახულეს ალ. ორბელიანს იერიშის წინ გადაუტყდა ხმალი, მაგრამ ამ მოძრაობამ ქართულ პოეზიას მისცა ახალი სათავე, დამარცხებულთ უნდა ამოეტირათ მთელი ნაღველი.

რომანტიულმა მწერლობამ გააძლიერა პატრიოტული სული და, შეიძლება ითქვას პოეზიის საგნად მთელი სიდიადით აქცია ეროვნული პრობლემა.

საქართველოს ტანჯულმა ბედმა სევდით შეარხია ალ. ჭავჭავაძის ქნარი, რომელიც ალავერდობის ღამეს ფარნაოზ ბატონიშვილის შეამბოხეთა-რაზმში იღებდა ფრცხვანობა რუსეთის წინააღმდეგ. „წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი, გვძლივა სოფელმან, ხელმყოფელმან, აწ გვაგო შურნი“—ასე სწყევლიდა კრულ-დროებას სამშობლოს ზურმუხტ ველებს მოშორებული ალ. ჭავჭავაძე. იგი ოცნებობდა მამულში დაბრუნებაზე, ოცნებობდა მტკვარზე და შესტრფოდა მისით კვლავ ეშრიტა წყურვილი.

საქართველოს უბედობით ეწვოდა სული დასჯილ-სა და სამშობლოს მოშორებულს ვ. ორბელიანსაც. „გმირთ ძევ სამარევ, იმათ სისხლით მორწყულო, სად განდა ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი.“ ასე მისტიროდა იგი მამულს რუსეთის ცივ ველებისაკენ მიმავალი. პოეტის ჭარმაგ გულს მაინც აღმოხდებოდნენ იმედის ხმები. „გწამდეს, შეენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან“ ეუბნებოდა იგი თავის თავს.

სამშობლოს მწუხრი, „ფიქრნი შავად მღელვარნი“ აშფოთებდნენ ქართველი ბაირონის, რომანტიზმის ამ ნამდვილი ფენომენის, ნ. ბარათაშვილის მღელვარე



სულს.მამულის ტანჯვა მასში იწვევდა მწვავე სული-
 ერ განწყობილებას, რადგან შეთქმულთა ცდამ ფუჭად
 ჩაიარა, საქართველოს ეროვნული განთავისუფლები-
 სათვის ამოძრავება დამარცხდა, *) ნ. ბარათაშვილი
 აღრმავებს რა ამ ეროვნულ სევდას, მის მიზეზებს
 მსოფლიო სევდაში ეძებს.

ნ. ბარათაშვილი, ქართული მაწის შვილი, თავისი
 ქვეყნის უბედობით დანისლული, მაინც არ ჰკარგავს
 იმედს, მას სწამს, „რომ გათენდება დილა მზიანი და
 ყოველ ბინდს ის განაათლებს“, „და გზა უვალი შენ-
 ჭან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო“, მყივა-
 რას ხმით შესძახებს იგი თავის მერანს. ცხადია, ამ სიტყ-
 ვების პატრონს არ უნდა ჰქონოდა დაკარგულა იმედი
 სამშობლოს ბედნიერების აღდგომისა.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ
 ეროვნული ფიქრა უმთავრესად ოცნების სამყაროში
 გადაეშვა. ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ვ. ორბელი-
 ანის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, დ. ყიფიანის,
 აღ. ორბელიანის იდეალი დაამარცხა ცხოვრების
 მწარე სინამდვილემ, მაგრამ ეროვნული ბრძოლისათ-
 ვის კვლავ ღვივდებოდა მიძინებული ნალვერდალა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს
 სევდით მოცული ცხოვრების ცაზე ქარიშხალივით
 გაიელვებს დიდი ილია და ყველას გასაგონად დაი-
 ქუხებს:

**„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
 ჩვენ უნდა ვსდიოდ ახლა სხვა ვარსკვლავს
 ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
 ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“ *)**

*) ნ. ბარათაშვილს ბავშვობიდანვე ღრმად ჩააჩნდნენ გულში
 1832 წლის ამბები, იგი ჯერ კიდევ 17 წლის ქაბუკი დადიოდა
 შეთქმულთა წრეში და აღფრთოვანებული იყო მათი იდეებით.

**) ხაზი ჩემია (ლ. ლ.).

და ის ვარსკვლავი, რომელსაც უნდა ამოეშუქებია სამშობლოს ცაზე და რუსეთისაგან უფლება აყრილი დამონებული ერი ეხსნა, ილიამ მოხევეს დაახატინა უკვდავს სიტყვებში: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნდესო...“ ილია ჭავჭავაძე იყო ჩვენი ერის ნაციონალური განთავსუფლების ბრძოლის ალამდარი, იგი მთელა ნახევარი საუკუნე დასტრიალებდა თავს ჩვენს აფორიაქებულსა და მღელვარე ცხოვრებას და ეროვნულ ბრძოლას მიმართებას აძლევდა. ილიას სტანჯავდა ის სევდა, რაც ალ. ჭავჭავაძესა და ორბელიანებს, მაგრამ მისი სულიერი ტრალედია სხვა ცეცხლით იწვოდა. „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება...სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს. ყველამ,ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იბოქმელოს“ *) — ამბობდა ილია. აი ნადაგი, რომელზედაც უნდა დამდგარიყო ახალი თაობა.

აბედით იწვოდა აკაკის პოეზია სამშობლოს სიყვარულით. პოეტის ფაქრი თავს დასტრიალებს ლეჩაქ ახდილ სატრფოს, მისი გული ტკბილად არ ძგერს, მისი ჩანგა ტკბილად არ ჟღერს, იგი გულით ჯოჯოხეთს დაატარებს. მამულის სევდამ სანთელივით დააღწო მისი მეოცნებე სული და გამწარებულს ასეთი ელევგია აღმოხდება გულიდან: „სანამ ჩემი საყვარელა ქაჯებსა ჰყავს ცხრა კლიტულში, ვინ მალირსებს სასუფეველს, ჯოჯოხეთი მიძევს გულში.“ საქართველოს თავისუფლებას მომღერალს, მებრძოლი ქართველი ერის მენოტბეს აკაკის, მშობლიური ხალხის აღდგომისათვის მხატვრული სიტყვით მყარა საძირკველი ჩაუყრია.

*) ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. 4, „შინაური მიმოხილვა.“

მისი ლექსი ხალხის გულიდან გულში გადადოდა, მისი სიმღერა „სატრფო“ საქართველოზე ვით ფარავანა დაფრინავდა ხალხის სიღრმეში. აკაკის ერთადერთი სამსახური იყო ერის თავისუფლება და ამ სამსახურში შეივერცხლა მისი თმა, ამ სამსახურში დაიფერფლა მისი მგზნებარება. ხანგრძლივ ეროვნულ ბრძოლაში მას წარბი ოდნავაც არ შეუხრია, რადგან სწამდა მებრძოლი ქართველი ერის კვლავ ფეხზე წამოდგომა, ამიტომ იყო, რომ ამაყად გასძახოდა:

„არა! აყვავდეს იმედი
 გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!
 მაინც თამამად იყივლებს
 ჩემი დაფი და ნაღარა!..“

ქართველ ხალხს უსაზღვროდ უყვარდა თავისი მამული. მშობელი მიწა იყო ხატება ქართველი ადამიანისა. ეს იყო და არის ჩვენი უძლეველობის წყარო. ეს ასაზრდოებდა ჩვენს პოეზიას საუკუნეთა მანძილზე.

როგორც ავლნიშნეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პოეზიის მთავარი მოტივი არის ეროვნული ბრძოლის აზვირთებისათვის სამსახური, ეროვნული პეზიისის საღი შეგნება და მოწოდება ბრძოლისაკენ. იღია, ქართული აზროვნების ეს დიდი მამამთავარი, აკაკი ჩვენი პოეზიის მზე, ვაჟა-ფშაველა მთის არწივი და მარგალიტის მთესველი, ალექსანდრე ყაზბეგი ხევის ოქროპირი, რაფაელ ერისთავი, ქართველი გლეხკაცობის გულის მესაიდუმლე — მთელი შემოქმედებითი ცეცხლით იწვოდნენ სამშობლოს აღდგენისათვის აღმართულ სამსხვერპლოზე.

სავსებით ბუნებრივი და გასაგებია ის გარემოება, რომ ეროვნული მოტავი ასე ძლიერად სჩქევს ჩვენს პოეზიაში. ჩვენს ქვეყანას თავს ესხმოდნენ მაჰმადიანი

მეზობლები, ჩრდილოეთით მახვილს ლესდა ბარბაროსი რუსეთი, რომელსაც მართალია გულზე ქრისტიანული ჯვარი ეკიდა, მაგრამ სულში უმძვინარებდა ქართული მეობის ძირბუდიანად ამოგდებს სურვილი. ქართველი ხალხი ებრძოდა მოწოლილ მტერს, მთელი ჩვენი ეროვნული ენერგია უნდა მოხმარებოდა ხალხის ნაციონალური შეგნების ამაღლებას, დარაზმვას.

მე-19 საუკუნის დასასრულს და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპის ლიტერატურა და აზროვნება რადიკალურ ცვლილებას განიცდის, მთელი ძალით იჭრება ახალი საკაცობრიო იდეალები. სოციალ-პოლიტიკურმა ძვრებმა, რომლებმაც მაშინდელი განათლებულა კაცობრიობა გააღვიძეს, საქართველოსათვის შორით აღმოჩნდნენ. რუსეთმა გზა გადაუღობა ჩვენს აზროვნებას, რომელიც ასე გულმხურვალედ იყო მიჩვეული ევროპის გულისთქმის ვაგონებს.

1917 წლის რევოლუციამ დაანგრია თვითმპყრობე-ლური რუსეთი. ორთავიანი არწივის იმპერია ნანგრევებად იქცა. პატარა ერებმა თავი დააღწიეს რუსეთის ბატონობას. 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა ერთი საუკუნის მონობის შემდეგ კვლავ აღადგინა დამოუკიდებლობა, შექმნა ნამდვილი ქართული ეროვნული სახელმწიფო. თითქოს ასრულდა ალიას გულმხურვალე ნატვრა: „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“-ო. თითქოს გააღვიძა მამულმა, ოდესღაც აკაკის ჩანგა რომ უწინასწარმეტყველებდა.

ჩვენი ერის საუბედუროდ საქართველოს დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 3 წელი, აი მისი მოღვაწეობის მთელი მანძილი. და როცა მტერი ყოველმხრივ გვაწვებოდა, როცა მამულის თავზე დღე-ნიაღ-

აგ იშლებოდნენ განადგურების ღრუბლები, ხალხს დრო აღარ რჩებოდა თავისუფლად ემღერა ტრადიციულ პოეტურ ჩანგზე. ცხოვრება ღელავდა, საჭირო იყო ხმალი და მკლავი, ამიტომ პოეზიის შთაგონებითი აღგზნება ახლა ბრძოლის ველზე უნდა გადასულყო.

1921 წელს კვლავ დაჰქროლა ჟამთა სივრცის საშინელმა ქარიშხალმა. თბილისის ისტორიულ კარიბჭეებთან გადადტყდა რაინდული ხმალი, ტაბახმელასთან ჩაესვენა ჩვენი ეროვნული დიდების მზე. ბოლშევიკურმა რუსეთმა ხიშტზე ააგო საქართველოს მთრთოლვარე გული, ფეხქვეშ გასთელა ჩვენი საყვარელი, ეროვნული სამფეროვანი დროშა წინაპართა ბრძოლითა და სისხლით ნატარები.

ბოლშევიკური რუსეთი გაცილებით უფრო სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთის იმპერია. თვითმპყრობელური რუსეთი ეკონომიურად გვაღატაკებდა და გვდევნადა, ბოლშევიკებმა კი სულიერ გარდაქმნასთან ერთად დევიზად დაისახეს ჩვენი ერის ნაციონალური მეობის ამოგდება, გადაშენება.

ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ ეროვნული სულისკვეთებასა და ნაციონალური შეგნების გამომუშავებაში ლიტერატურას, პოეზიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მარქსისტული ლოზუნგი „**ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა**“ სხვა არაფერი იყო, თუ არა ეროვნული შემოქმედების ჩახშობა და მოწამლვა იმ გზით, რომ ხალხის გულიდან ძირბუღიანად აღმოკვეთილიყო ყოველივე ეროვნული. ბოლშევიკური რეჟიმი საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის საშინელებით შეუდგა ქართული ლიტერატურის შებოჭვას. ლიტერატურას უნდა ჰვლობდეს გაბატონებული კლასი — გა-

ჰყვიროდნენ მარქსისტული ლაბერატორიის მეთოდო-
ლოგიის ფუძემდებელნი. ასეულობით პარტიული
დადგენილებანი, საპარადო ხმაური, კრებებო მიმართ-
ულნა იყვნენ იქეთკენ, რათა დაუყონებლივ განად-
გურებულყო ე. წ. „ფეოდალურ - ბურჟუაზიული
ლიტერატურა“, გამუშურებულყო პოეზია.

აწყება დამკვრელი მუშების გაწვევა. ბოლშევიკე-
ბი პოეზიის ტაძრისაკენ ერეკებიან პარტიული სტაჟ-
ით დამძიმებულსა და ხელებდაკოყრილ მუშებს. შე-
ჰქმენით ინდუსტრიული ლირიკა, — მოუწოდებდა
პარტია პოეზიაში გაწვეულთ. ცხადია ამ საწყისებზე
აღმოცენებულ მხატვრულ სიტყვას რა ცხოველყო-
ფლობაც ექნებოდა. ბოლშევიკებმა გადააგვარეს
და გაათახსირეს ჩვენი მდიდარი კლასიკურა ლიტე-
რატურული მემკვიდროება, ურწმუნოს ხელით გადა-
სჭრეს ეს კვირტები, რომელზედაც უნდა ამოსულიყო
ახალი პოეზია, ნამდვილი ქართული მხატვრული სი-
ტყვა, დიდებულა წარსულის მემკვიდრე.

პროლეტარული ლიტერატურა და პოეზია ეს იყო
წმინდა ნაგავი, ნაცოდვილარა. ამ ეპოქის ლიტერა-
ტურამ ვერ შეჰქმნა ერთი ძეგლიც კი, რომელიც ამა-
რთლებდეს ესთეტიკურ მოთხოვნალებას. ხეჩუაშვი-
ლები. ნავთლუღელები, ეულები, შინატეხელები,
ბობოხიძეები შერეკა საბჭოთა ლიტერატურამ ქარ-
თული პოეზიის წმინდა ტაძარში, რომელშიაც ოდეს-
ღაც უწარავს შუბლმალალ ოლიმპიელს, საქართველ-
ოს ფიქრთა და აზრთა მპყრობელს დიდ ილიას.

რა უნდა შეექმნა ისეთ პოეტს, რომელიც სტრიქო-
ნებს სწერდა და მღეროდა პირადა კეთილდღეობის
მიზნით?

„დავალრიზობ დედას,
დავალრიზობ მამას,
თუ კი მიბრძანებს რევოლუცია!..“ — სწე-

რდა ერთი პროლეტარული პოეტთაგანი, რომლის ესეოდენი ერთგულება ბოლშევიკებმა იმით დაავიროვნინეს, რომ მისი მღელვარე სული შინსახკომის ჯურღმულებში ჩააძაღლეს.

პროლეტარული პოეზია საქართველოში, უმღერდა ქარხნებს, მანქანებს, საწარმოო საფინანსო გეგმებს, დაჰხაროდა რაიკომის მდივანს, შესტოფოდა ელექტრო სადგურს, რომელიც წლის განმავლობაში ორჯერ გაანათებდა. პოეზია მლიქვნელურად ეგებოდა ფეხქვეშ ინდუსტრიულ ყოფას. „მოგვეციოთ სოფელი და ახალი ადამიანები“ — ისმის ყვირილი პარტიის ცეკას ტრაზუნებიდან და მწერლები იბრუნებენ პარს სოფლისაკენ. პოეზიის საგანი ხდება „ხევსურული ძროხა“, კოლმეურნეობის მოანგარიშე, პირუტყვის სულადობის ზრდა, საგანაფხულო თესვა.

ცხოვრება უგემური იყო და მომღერალს არ აძლევდა შემოქმედებით გზნებას, წარსულისაკენ კი გზა გადაკეტილი აღმოჩნადა. დაისადგურა ქრონიკების პოეზიამ საბჭოთა ლიტერატურაში.

ამ გარემოებამ გარყვნა ქართული მხატვრული შემოქმედება. პოეზია ჩამოსცილდა მის წმინდა საქმეს, იგი ხელოსნობად გადაიქცა. მარქსისტული ლიტერატურის მეთოდოლოგია შემოქმედებისათვის საზღვრავს არეს. საბჭოთა პოეტს აძლევენ დაკვეთას, მისი შემოქმედების სადავეები პარტიას უჭირავს.

შემომქმედი არაოდეს ყოფილა იმას განსჯაში, თუ ვის დააკმაყოფილებდა მისი შემოქმედების ნაყოფი. პოეტი თავის ქმნილებას ჰქმნის შინაგანი გრძნობები-

სა და განცდების სამქედლოში. ლიტერატურის ისტორიას, ქართულ მწერლობას არ მოეპოება იმის მაგალითი, მხატვრული შემოქმედება დაკვეთით შექმნილიყოს. ეს სწვევია მხოლოდ საბჭოთა პოეზიას, ამიტომაც იგი პირდაუბანელი, უდღეური, გაურანდავი, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული. საბჭოთა საქართველოში პოეტი უბრალო ხელოსანია; იგი ოცნებობს, — სად გაასაღოს თავისი შემოქმედება. თბილისის ბაზარზე გირვანქობით იყიდებოდა საბჭოთა ლიტერატურა როგორც ახალციხის ხახვი.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა აღსავსეა წინააღმდეგობებით. მწერალთა ერთი ჯგუფი, რომელმაც ვერ მიიღო ახალი დროებით მოტანილი უბადრუკობა, დროებით განზე გადგა. ბოლშევიკებმა ამ მოვლენას მალე გამოუძებნეს შესაფერი წამალი: ამ ჯგუფს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს, მრავალი მათგანი ფიზიკურად მოსპეს. ბოლშევიკური რეჟიმისა და კრიტიკის მარწუხებით აიხსნება ეს გარემოება, რომ საქართველოში მწერლების ერთმა ნაწილმა ისტორიულ წარსულსა და საბჭოთა სინამდვილიდან დაშორებულ თემებს მოჰკიდეს ხელი.

დაეცა ქართული პოეზია, ახალი უბადრუკი აღმოჩნდა. ბოლშევიკებმა ახლა კლასიკურა ლიტერატურის გარყვნა დაიწყეს. ნ. ბარათაშვილს ზვენი პოეზიის ამ ლამპარს, ოდესღაც დასცინოდა პარტიის დავალებით „ქუჩის პოეტი, ქუჩების ბრბო და შეუპოვარი“ ვინმე მაშაშვილი:

„შენ ვის უნდები, ვინ მოგაგონებს,
ზიხარ წარსულში უდაბნო მწირი,
უკვდავი სატყვის უკვდავ სტრიქონებს
ინახავს ხალხი და არა წიგნი.“ *)

*) იხ. ა. მაშაშვილი „მე და ბარათაშვილი.“

ქართველ ხალხს ახსოვს ის შეურაცხყოფა და ლაფ-
დასხმა, რომელსაც ბოლშევიკური რეჟიმი აყენებდა
ილია ჭავჭავაძეს. ფ. მახარაძის, ამ ნაფიცი მარქსის-
ტის სახით ქართული ლიტერატურული კრიტიკა
ილიას სახავდა რეაქციონერად, სასტიკ ბატონად,
მშრომელი გლეხკაცობის ექსპლოატატორად. *)
მაგრამ ბოლშევიკებს არც იმის შერცხვათ, რომ რამ-
დენიმე ხნის შემდეგ ილია გამოეცხადებინათ ქართუ-
ლი ნაციონალური გამანთავისუფლებელი, პროგრე-
სული მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლად.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში დღულდა ბრძო-
ლა. კრიტიკა ხან მემარჯვენედ, ხან მემარცხენედ აც-
ხადებდა იმ პოეტებს, რომლებიც საბჭოთა სინამდვი-
ლეს გაუბრბოდნენ, მაგრამ უკანასკნელნი მაინც სცო-
ცხლობდნენ, გულამოკენესით მაინც ამოიქუხებდნენ.
ს. აბაშელმა თავის დროზე გამბედავად დაიკიჟინა ქა-
რთული პოეზიის დაცემაზე:

„გაგიკვირდება, ლექსს რად არ ჰშვენიას,
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად,
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა,
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაადრჩო წვრილმა ამბებმა
ამონაწერმა გაზეთებიდან.“ *)

აბაშელი დიდხანს ჰგოდებდა იმაზე, რომ „დაეცა-
ლოცვა და პოეზია“, რომ „ახალს ჩრდელი შემოე-
სია.“ ი. გრიშაშვილიც „ბესიკის ბაღში გაზრდილი
სევდით,“ სტიროდა ჩვენი დიდების გაყადვაზე ვანქის

*) იხ. ფ. მახარაძის წერილი გაზ. „კომუნისტში“.

*) იხ. ს. აბაშელი „წერილი ნ.ჩხიკ ვაძეს“. ხაზი ჩემია (ლ.ლ.).

მტვერიან ბაზარზე. ერთმა „ცისფერ ყანწელთაგანმა“, რომელიც ბოლშევიკებმა გააქრეს, უწინასწარმეტყველა თავის თავსა და მთელ საბჭოთა პოეზიას: „მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც სადმე მალე ჩავგაძაღლებენ.“

საბჭოთა ქართული ლიტერატურა დღეს კვლავ ბოლშევიზმის ხუნდებშია მომწყვდეული, ლაფავს სულს და სთათხნის: „ტილოებს“ შესაფერს სისხლიან ბოლშევიზმის ტირანიის სადიდებლად.

წინაპართა სახელოვან ტრადიციას, საუკუნეთა მანძილზე გულთან ერთად რომ უტარებია ჩვენს ხალხს, აგრძელებს ქართველი ხალხის ახალგაზრდა თაობა, რომელიც იარაღით ხელში იბრძვის დაჩაგრული მამულის განთავისუფლებისათვის. ყოველთვის, როცა ჩვენს ქვეყანას უჭარდა, ხმალთან ერთად იბადებოდნენ სიმღერები, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე გამოსულ მამულისშვილებს რომ ალომებდნენ. ქართულა ლეგიონის ლიტერატურული ახალგაზრდობა არის ქვეშარიტი მემკვიდრე იმ დიდებისა, რომელიც ჩვენს ერს შეუქმნა და შეუტანია კულტურის საგანძურში.

ქავკავადისა და ორბელიანების უძირო სევდამ, მამულის მწუხრათ რომ იყო დანისლული, ახლა ჰპოვა გამოძახილი ჩვენა ახალგაზრდობის მღელვარე სულში. ლეგიონერი მგონებები, მთელი თავისი შემოქმედებითი ალტინებით ემსახურებიან უწმინდეს საქმეს—ერის გამოფხაზლებას, მისი ნაციონალური მეობის აღსადგენად.

კრებული „ჩვენი სიმღერები“ თაიგულია იმ უკეთ-ალშობილესი გრძნობებისა, რომლითაც გამსქვალულია მამულის კალთებიდან ძალით მოგლეჯილ შვილთა გული, იგა გამოჰხატავს ახალგაზრდა თაო-

ბის ფიქრებსა და ოცნებებს. მშობელი მთების კალთებივით პიტალონი, პირველი თოვლივით სპეტაკნი და კელაპტარივით მოცისკროვნენი არიან ეს ფიქრები.


ქართული მიწის შვილებს, თერგისა და მტკვრის ნანით გაზრდილებს, აღშფოთებთ ის გარემოება, რომ „შავი ძაძებით მორთულა ქვეყანა მზის და მშვენიერბას“, „ჩამკვდარა ქართველთ მხნეობა, გაცივებულა კერაი“, მაგრამ მათ სწამთ ქემმარიტებით აღძრული ბრძოლა, რომელსაც გერმანელი ხალხი მეთაურობს და რომლის ქარცეცხლში უნდა გამოიქედოს ქართველი ერის ბედაც.

ჰკითხულობთ სტრიქონებს, თქვენს თვალის წინ გაიქროლებენ ნალველში ამოვლებული რითმები, რომლებშიც ისმიან ჭავჭავაძის, ორბელიანების, ბარათაშვილის შორეული დაგვისა და ქმუნვის ხმები. განა ასე არ ჰგოდებდნენ ოდესღაც გადახვეწილი ჩვენი წინაპრები? ჩვენი პოეზიის ტრფიალი იყო ლეჩაქახდილი სატრფო, — საქართველო, — პოეტს მარად-ქამს თან ახლდა გულისდამწველი სევდა და ალი დაჩაგრული მამულის მოგონებაზე. ასეა დღესაც.

კრებული „ჩვენი სიმღერები“ ორგანიული ნაწილია ქართული ეროვნული პოეზიის საგანძურისა; იგი ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერება ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ამ კრებულის თვითთულ ლექსს, ლექსის თვითთული სტრიქონს, ფართოსან ფიქრებსა და აზრებს ერთი უწმინდესი გრძნობა ზრდის ესაა სამშობლოს სიყვარული, ბრძოლის წყურვილი ერის დაცემული დიდების აღდგენისათვის. ამიტომ ეს სიმღერები გახდებიან ჩვენი ერის დაწყლულებული გულის გამამხნეველ ყიფინად, მოწოდებად ბრძოლისაკენ.



3
8 343



„ღამის იერიში“

ნახ. ი. ევგენიძისა.

ქართულ მამულში სევდაა. ძაძით მოსილან ხევე-
ბი. თავისუფლების მოყვარულა მთა ჰგოდებს. მთის
შვილს აშფოთებს და სისხლს უმღვრევს მამულის
ჩაგვრა.

„მოვშორებულვართ ჭიუხებს,
დაობლებულა ცხვარია,
ძაძით მოსილან ხევება,
მამულს ვერ გაუხარია!..
მოსთქვამს საბრალო დედაი,
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა,
გაცივებულა კერაი,
ბატკანი სტარის კარზედა!..“

ამბობს ლეგიონერი ვ. ფშაველი. ჭაბუკი ფშაველი
ემუდარება ნიავს,—გადაჰყვეს დარიალს, გადაურბი-
ნოს მშობელ მთებს და უამბოს მამულს, რომ მისი
შვილია აქ არის, აუსხია მამა-პაპური ფარ-ხმალი, რა-
თა მზე დაუბნელოს მამულის მჩაგვრელს.

„არ შევუდრკებით ვერაგ მტერს,
სისხლათ გავღებავთ მიწასა,
ვფიცავთ შენს კალთას პიტალოს,
მშობელ არაგვის დენასა!“ ეფიცება იგი მამ-

ულს ხმალ ამოწვდილი.

ორიგინალური და ქართული პოეზიისათვის ჩვე-
ული სითბოთია აღსავსე ახალგაზრდა პოეტის ვ. ურ-
დოელის ლექსები. მის შემოქმედებაში იღვაძებენ
გურამიშვილისებური აღვანი, აკაკისებური ცრემ-
ლნარევი ოცნებანი. ვ. ურდოელი ქართული ლეგი-
ონის ლიტერატურული ახალგაზრდობის ერთი თვა-
ლსაჩინო წარმომადგენელია.

მასაც აწუხებს სამშობლოზე გაბმული ფიქრი, მას
სული ეწვის და ველარ უძლებს მოზღვავებულ სევდას



მისი წარმოდგენით მამულა მარტოა ეული, მას დღე დაუბნელეს ნეტარი, „შავ ძაძებშია ნესტანი ქაჯეთში გამომწყვდეული!“ პოეტი საქართველოს ნესტანს აღარებს, რომელსაც ტანჯვა ჰგესლავს.

„ქაჯეთა ნესტანს გესლავდა,
 ნისლი ებურა კლდე-სალსა,
 წყაროს ჩუხჩუხი ცრემლს ჰგავდა,
 ქარი — ვაჟკაცის კვნესასა!..“ — ჰგოდებს პო-

ეტი. მაგრამ მის სულს როდი იპყრობს უიმედობა. მას სწამს გამარჯვება, მამულის ხსნა ბოლშევიზმის მონობისაგან და ამიტომაც რომ ასე სიწარმტაცით გეხატავს გამანთავისუფლებელ ბრძოლას:

„ბოლოს აინთო კლდე-გული,
 ნაჭედი ოქრო-რვალითა,
 ტარელ ქაჯეთს მიადგა
 თავისუფლების ხმალითა!..
 სთქვა: საქართველოს ლომნი ვართ,
 შობილნი ქვეყნის მცველადა,
 ხმალ-შემართული მოვდივართ
 ნესტანის დასახსნელადა!..“

ვ. ურდოელს სამშობლოს სიწარმტაცის დახატვის მაღალი უნარი აქვს. მთა მისთვის ნახატია ვაჟას ხელით, ცის სილურჯე ფიროსმანს მოუქარგავს, მამულს მკერდა ჯეირანს უგავს. ხევი მინდიას სიბრძნითაა სავსე. ვერხვები თრთიან მთრთოლვარე ვერცხლის წყალივით, ვარსკვლავები ციმციმებენ ქალის თვალებივით, დგას სურნელი, ვით შემოდგომის ღამე, ისმის გლეხის ტკბილი ურმული გულს მომდები ალისა — ყველაფერი ეს შერწყმულია ერთ სახელში, — ეს არის საქართველო. ვფიქრობთ, ასეთი მოელვარე და მგზნებარე მეტაფორები მოსძებნიან ადგილს ყოველა ქარ-

თველის გულში, ვისაც უგრძენია მამულის სიტკბოება.

საკოლმეურნეო წყობალებამ წელში გასტეხა ქართველი გლეხკაცობა. ჩვენი ერის ნაციონალური სიძლიერის წყარო დაკნინდა და გადაშენების გზას დაადგა. გლეხკაცობა გმინავდა ბოლშევიკური რეჟიმის მძიმე უღელ ქვეშ. და გლეხს შვილს, რომელსაც მოუსმენია მამის გულისდამდაგავი მოთქმა უკუღმართ ბედზე, გულში ჩაუმაჩხავს და ახლა ამოუნთხევია სტრიქონებში:

„კოლექტიურმა მონობამ
 ცრემლი მადინა მწარია,
 არ შემარჩინა ოჯახში
 აღარც თხა, აღარც ცხვარია;
 თავს დამხვევია საჯიჯგნად
 მუქთა ხორების ჯარია,
 გაანადგურეს ერთიან
 ჩემი სახლი და კარია...“

ასე გადმოგვცემს **დ. მთიული**, ქართველი კოლმეურნე გლეხის ტანჯვას. განა ამ ლექსში არ იგრძნობა ის სევდა, რომელიც ოდესღაც ასე აწუხებდა ქართველი დაჩაგრული გლეხის მოტრფიალეს რაფიელ ერისთავს?

ქართულ პოეზიისათვის დამახასიათებელი შტრიხი და მიმართება საუკეთესოდ აქვს გამოთქმული ლექსში **ტ. ყ-ს**, პოეტი შთაგონებულია რუსთაველის ოქროხმოვანი ანდერძებით.

„ბრძოლის სამძაფრეს ვეღარ უძლებდე,
 აღარ შეშვენიის დროს და ბუნებას
 მწარე ბრძოლაში უნდა ჰპოებდეს
 კაცი ცხოვრების დანიშნულებას.“ გვეუბნება

იგი. ეს რწმენა სჩანს თვითეულ ლექსში, რომელიც ამ კრებულშია თავმოყრილი.

ქართველ ახალგაზრდობას ალაღებს ის გარემოება, რომ გერმანია ქართველი ხალხის მოკავშირე და მფარველია. წარსული ისტორიული მეგობრობის საფუძველზე ეს მეგობრობა დღეს მტკიცდება სისხლათა და ბრძოლით სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ლეგიონერი პოეტების შემოქმედებაში ეს დიდი მოვლენა მთელი სიდიადითაა ასახული.

„ძმად გახდომია ბერლანი,
ბრძოლის დაუკრავს ზარია
და თავის ლომი ბიჭები
აქეთკენ გაუგზავნია!..“

ლეგიონერ პოეტს ფრთას ასხამს ის გარემოება, რომ „მებრძოლ რიგებში ერთად არიან გერმანელი და ქართველი.“ რომ „გერმანიიდან ხმა ისმის გულრკინა მებრძოლისაო, იხარეთ კაცკასიელნო მცხოვრებნო მაღალ მთისაო.“ მათ ძალას ჰმატებთ და ბრძოლის სურვილს უღვრებთ ის გარემოება, რომ

„იმედათ ამოკაშკაშდა
მზე დასავლეთში შობილი
უნდა დაიმსხვრეს მონობის
გამორკინული ბორკალი.“

ლეგიონერ ახალგაზრდას სწამს გამარჯვება. ის მიჰყვება იმ ბრძოლის დროშას, რომელიც უძლეველმა გერმანიამ აღმართა. ამ დროშას ქვეშ გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად არიან ჩვენი ძმები, ქართველი ლეგიონერები. ამიტომაც, რომ ძლევამოსილის ხმით მღერიან:

„მხარში მიყვებით ერთმანეთს
გერმანელი და ქართველ!..
ომში არ შედრკეს არც ერთი

ესე ამბავი ძველია,
 ღამის ბნელს გასჭრის ნათელი,
 არსება მისა გრძელია.“

ლეგიონერთა შემოქმედება — ეს ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ორგანიული გაგრძელებაა. **ამ პოეზიას ჩვენ ვუწოდებთ სამშობლოს ეროვნულ გამანთავისუფლებელი ბრძოლის პოეზიას.** „ჩვენი სიმღერები“ — ესარის მამულის სიყვარულით აღზნებული მებრძოლი ახალგაზრდობის ჰანგები, ეს ჰანგები გაისმინან დღეს ბრძოლის ველზე, როცა ჩვენი ძმები უტევენ მტერს, ეს ჰანგები ყოველთვის ჟღერენ ჩვენ გულში.

მშობელო მიწავ, დადგება დრო და შენს მკერდიდან მოვგლეჯთ ბოლშევიკურ გველს, სამუდამოდ დავამხოთ მონობის უღელს. ვღვრით რა ჩვენს ახალგაზრდა სისხლს შენი დიდებისათვის, ჩვენ ღრმად გვწამს გამარჯვება. შენა მადლიანი მიწის ბარაქით გაზრდილნი ისევ დავბრუნდებით შენს კალთაზე, მოვიტანთ წინაპართა დროშას ახალი სისხლით შეფერილს, რომელზედაც ეწერება აღსრულებული სანუკვარი ოცნება: თავისუფლება. წინაპართა დიდებული საფლავების წინ გადმოღვრილი სიხარულის ცრემლებთან ერთად, ჩვენ გამღერებთ ახალ სიმღერებს, რომლებიც დაიბადნენ ჩვენს ახალგაზრდა გულებში, მამულის ტოფობისა და სიყვარულის ცეცხლოვანი გზნებით.

ლ. ლინი.



ლევ. ა. სვანი

არწივი

ცას გაჰყურებდა არწივი
მარტოდ შთენილი ეული,
გახდა ყვავ-ყორანთ არჩივი
ერთ დროს ვაჟკაცი რჩეული.

გარს ერტყა ეკლის მავთული
მისივე სისხლით ნაღები,
თითქოს ბაცაცა ან თული
იყოს მთის მეფე ნაქები.

ცას გაჰყურებდა არწივი
ყვავთ ყრანტალს არად აგდებდა,
მხოლოდ დრო და დრო სისხლნარევ
ობოლ ცრემლს გადმოაგდებდა.

ნეტა რას დარდობს საწყალი,
ან რა ფიქრებში ვარდება,
ხომ არ მოსწყურდა მთის წყალი
ან ცაში განავარდება?

ჯიხვთა ნახტომის დანახვა,
ხევის ნიავის შრიალი,

ზვავთა ზათქი და ხული,
კლდოვან ჩანჩქერთა ჩხრიალი!

იქნებ სხვისაი ჯავრი სკირს,
გული არ უძლებს ნატყვევი,
რომ დაუყრია მტერთათვის
თვისი ბუდე და ბარტყები?!

ნუ გეშინია არწივო,
მხნელ იყავ, შენი კენესა მე!
იქნებ მტერს თავზე აწვიმოს,
რაც იტანჯე და იწამე.

იცოდე, არ მოკვდებიან
შენი აზრი და მიზანი,
ისევაც დაიზრდებიან
ბარტყები არწივოსანნი
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი არ სკამონ მტრისანნი!





ლევ. ვ. ურდოელი

სიმღერები სამშობლოზე

1.

თამარის დროშა გავშალოთ,
სახელოვანი, დიადი,
ხელში ავიღოთ პირბასრი,
ირაკლის ხმალი ფხიანი.

გულს ნუ გავიტეხთ ვაჟკაცი,
დარი გვიდგების მზიანი,
ვინც სამშობლო გაჰყიდოს,
სიკვდილის გახდეს ზიარი.

მამული ითხოვს შველასა,
შვილავ, იხენი მშობელი,
ბრძოლაში გვიძღვის ანდერძი,
მამა-პაპათგან თხოობილი.

ქვითკირებ გავმაგრებულვართ,
ქირში ძმად შეფიცულები,
ქართველის გული რკინაა,
ნაღვერდლით გამოწრთობილი.

ვფიცავთ შენს სახელს, სამშობლოვ,
შენს კალთას უხვსა, რძიანსა,
შენს ნაკადულებს და მთიდან
ანკარა წყაროს მდინარსა,

კვლავ დაგანახვებთ წინაღებრ
ხარ-ირემს მთიდან მყვირალსა,
ოლონდ იყავი დღეგრძელი,
თვალს ნუ გვაჩვენებ მტირალსა.

ნუ მოიკრემლვი, ილაღე,
ქირს მიჩვეულო, ლხინსაცა,
შხამად შეერგოს დედის რძე,
სხვაზე გაგცვალოს ვინამცა,

შენი ვართ, შენტვის მოვკვდებით,
დაგვყურებს მალლით ვინემ ცა,
თუ ასე მტკიცედ ვიქნებით,
ველარ გაგვტეხავს რკინაცა.

2.

უცხო მიწაზე შევყრილვართ
ქართული მიწის ლომები,
ტანჯვაში გამოზრდილი ვართ,
მტერთან გვქონია ომები,

ხშირად დაგვეხმია თავს სპარსი
და თურქი დამპყრობელები,
სისხლით გვიღებავს ვაჟკაცებრ
მტკვარი, კრწანისის ველები.

რამდენი მტერი გვიმუსრავა,
ვაება გამოგვივლია,
რამდენი სისხლი გმირების
ახლაც აჩნია წინანდალს,

მაგრამ მშობელი მიწაი,
ქართველის წმინდა სახელი
გმირულად შემოგვინახავს,
არ მოგვდებია ნალველი.

ავისხათ თოფ-იარაღი,
მამა-პაპურის წესითა,
ღულაბით შევკრათ სალკლდეთა
ჩვენი ქაბუკი გულეზი,

რომ არ გლოვობდეს სამშობლო,
მწუხრი არ იდგეს მთებიისა,
ჩირალდნები არ ჩავაქროთ,
ბრძოლაში ანთებულეზი.

ეჰ, სიჭაბუკევი!..

ეჰ, სიჭაბუკევი, ფრთა-ლაღო,
სწრაფ წარმავალო, ტიალო,
მშობელი მიწის კალთაო,
ქვეყნის უწყვეტო ტრიალო,

გადამატარე მთა-ბარი,
მუხლი მომაბი მგლიისაო, {
ვეფხვებთან დამაბინავე, {
გმინვა მასმინე კლდისაო.

შავად ჩაგრეხილ ხევებში,
ლამე მატარე წვალეზით,
მასწავლე მტრისა მოძებნა,
გამომიწაფე თვალეზი.

ვაჟკაცად დავბადებულვარ,
ადათად ეს მიწერია,
სამშობლოს სიყვარულითა,
მხნე გული ამიძგერია.

შემყარე ონავარ მტერსა,
მკერდი გავუპო მახვილით.

სისხლი ავიღო და მოძმეთ
გული გავუთბო ძახილით,

ვუამბო, როგორ იმსხვრევა
ოცდახუთი წლის ბორკილი,
როგორ ამოღია ხალხის მზე,
მზე დასაველეთში შობილი.

დავბრუნდე მშობელ ბინაზე,
ვნახო ჭიუხი მთებისა,
გაცივებული კერაი,
თვალნი მტირალი დედისა;

დავაიმედო ბეჩავი,
ჯავრი არ ჰქონდეს მტერისა,
ვახარო მრავალტანჯულსა:
თავისუფლება გვეღირსა.

სისხლით ნაღები დროშიაი
ლაქვარდში დაფრიალებდეს,
თავისუფალი მოძმეი
მის შრიალს შესტრფიალებდეს;

გაშრეს ცრემლი და ვაება,
ლხინი დაგვიდგეს მზიანი,
და ზეიმობდეს ძლევისა
მამული ბარაქიანი!..

ქაჯეთი ნესტანს ჰგესლავდა...

ქაჯეთი ნესტანს-ჰგესლავდა,
ნისლი ებურა კლდე-საღსა,
წყაროს ჩუხჩუხი ცრემლს ჰგავდა,
ქარი—ვაჟკაცი კენესასა!..

მზე ვერ იჩენდა მზეობას,
დარი არ იდგა დარული,
ჩაჰკლეს ქართული მხნეობა,
სისხლი მოსჩქედდა ღვარული!..

შავი ძაქებოთ მოირთო
ქიყანა მზის და მშვენების,
ბოროტმა ხელი მოითბო,
არავინ გაჩნდა მშველელი!..

ბოლოს აინთო კლდე-გული
ნაჰკედი ოქრო-რვალითა,—
ტარიელ ქაჯეთს მიადგა
თავისუფლების ხმალითა!..

სოქვა: საქართველოს ლომნი ვართ,
შობილნი ქვეყნის მცველადა,
ხმალ შემართულნი მოვდივართ
ნესტანის დასახსნელადა!..

თავისუფლება ქალთა მზეს —
აი, მიზანი ნათელი,
მხარში მივცვებით ერთმანეთს
გერმანელი და ქართველი!..

ომში არ შედრკეს არც ერთი,
ესე ამბავი ძველია,
ლამის ბნელს გასჭრის ნათელი,
არსება მისი გრძელია!..

ეს ჩვენი სამშობლოა.

ვარდის ლაღი შლილობა,
 სურვილები ფრთა-ჩიტა,
 მთები კობტად შემკული
 ათასფერი ფარჩითა;

ტანაყრილი ვერხვები
 მთრთოლი ვერცხლის წყალივით,
 ვარსკვლავების ციმციმი
 ტურფა ქალის თვალივით,

მწვერვალების სიმუნჯე,
 ბილიკები, ხევი და
 ცის სილურჯე ნახატა
 ფიროსმანის ხელითა;

სიუხვე და სურნელი
 შემოდგომის ღამისა;
 გლეხის ტკბილი ურმული,
 გულს მომდაბი ალისა;

ქართულ სუფრის სიუხვე,
 ღვინით სავსე სურები,
 მთვარის ჩრდილქვეშ შეყრილი
 ანთებული გულეზი!...

ყველა ერთ სახელშია,
 ერთი ფერის მდელოა, —
 ეს ჩვენი სამშობლოა,
 ჩვენი საქართველოა!...



მოკვიბანთ ქათიბს მზისასა!..

გაივლის მკაცრი ზამთარი
და აყვავდება ბარია,
გამოიღვიძებს სამშობლო
ზურმუხტი, ლალის თვალთა!..

მოვშორებულვართ ქიუხებს,
დაობლებულა ცხვარია,
ძაძით მოსილან ხევები,
მამულს ვერ გაუხარია!..

მოსთქვამს საბრალო დედაი,
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა,
გაცივებულა კერაი,
ბატკანი სტირის კარზედა...

არ იცის ბეჩავემა ქალმა,
მისი შვილაი სად არი,
რომ აუსხია ვაჟკაცსა
მამა-პაპური აბჯარი!..

წააულა ბრძოლის ველზედა,
ამოუწვდია ხმალია,

სამშობლოს დამმონებელი
აკაფოს ვითა მხალია..

წადი, ნიავო, ფრთა-ლალო,
გადაჰყე დარიალსაო, A
გადაურბინე მშობელ მთებს,
ფშავში ჩაიტან ამბავსო:

დაგიბრუნდებით შვილები,
მოვიტანთ შვება-ლხენასა,
ვფიცავთ შენს კალთას პიტალოს,
მშობელ არაგვის დენასა...

არ შევეუდრკებით ვერაგ მტერს,
სისხლით გავღებავთ მიწასა,
დავლექწავთ მონობის ხუნდსა,
მოვიტანთ ქათიბს მზისასა...





ლეგ. შ. სპეთისპირელი

და გაიხარებს მამული ჩვენი

დაშრება ცრემლი, გამოიდარებს,
გაჰქრება სევდა, ნალველი, თალხი,
აღსდგება მკვდრეთით მამული ჩვენი
და გაიხარებს ჯვარცმული ხალხი!..

სიახლით ნაფერი დროშის ფრიალით
ქართველის გული დაიწყებს ლხენას,
ბარში დასძახებს ტკბილი მუშური,
მთები მოგვაწვდის ბულბულის სტვენას!..

მწყემსი დაუსტვენს სალამურს ლაღად,
უმღერებს კლდეებს, ჩანჩქერებს ტრფობით,
დაილიღინებს მეურმე ურმულს
გალაღებული ახალი ყოფით!..

ქართველი ერი თვის სიდიადით
ისევ აღსდგება ჟამთა სიაზე,
ქრისტიანობის მზიან მხარეში
ზარი შემოჰკრავს ეკლესიაზე!..

დაშრება ცრემლი, გამოიდარებს,
გაჰქრება სევდა, ნალველი თალხი,
და იზეიმებს ბოროტის ძლევას
გამარჯვებული ქართველი ხალხი!..



„ძვირფასი სტუმარი“

ნახ. თ. ვაგენიძისა.



კ. 47 ბი.
8

„ქართველი კალი“

მუჯას...

დიდი ხანია გელოდი, ღამეც გითიე ბნელია,
მელანიც გაშრა კალამზე, სანთელიც შემომელია,
დრო გადასული ლოდინათ თვალთა სინათლე
ჰქრებოდა,
შენს უნახავად სურვილი გათენებისას წვებოდა.

დრო გადიოდა უმღერლად, უამი გაჰყავდა მოლოდინს,
შეირხეოდა სიჩუმე, გავიფიქრებდი: ოჰ, მოდის!
ასე წვალეებით ჩონგურზე ხშირად ვაკენესე ლარები,
და მღერას ნაცვლად სახისა ცრემლით დავენამე
ლარები.

ვერ დავასველე მელანით სიტყვა სათქმელი ენითა,
წუთი სოფელი შემცირდა გაუხარელი დღენითა.
დღეს ვერ აუველ დაწერას, ამიმუსიკდნენ ლარები,
ზღვა და ხმელეთი გავლიე, ზეცაში დავიარები.

მინდა სუყველას გადავცე: მწარე სიტყვანა ტკბილადა,
გზანი უჩვენო სავალი, რომ არ ვიდოდეთ ჩრდილადა.
კალამით კუთხე დავხატო ქართულ უფლებას
აყრილი.

ჯოჯოხეთური ცხოვრებით, მხიარულებას გაყრილი.

ავახმიანო მოძმეთა რწმენით ნაქედი გულები,
შიგ გავაშენო იმედის ძვირფასი თაგულები:
გადავანათო შორიდან თავისუფლების ნათელი,
მინდა შევაქო, ვადიდო ჩემი მოძმეი ქართველი!...



დ. ბურღული

ერეკლე სარდალს

ნეტა რა დედამ დაგბადა,
ძუძუ გაწოვა როგორი,
ნანა ვინ გითხრა პირველად
ან მშობლაური ამბორი?!

ვინ ჩაგაწვინა აკვანში
ტკბილად გიმღერა ნანაო,
ნეტავ თუ დაიბადება
სარდალი შენისთანაო!...

ქექა-ქუხილში იზარდე
წინამორბედი ერისა,
შენი ხმა ყველგან ისმოდა
თავ-ზარ დამცემი მტერისა.

ზეციურ ძალამ შთანერგა
შენში გმირული აერი,
შენ გამოაწრთე ბრძოლებში
ქართველთ ლაშქარი ძლიერი.

შენ მოევლინე სამშობლოს
მტრისგან უძლეველ ძალისა,

ივერთ სისხლი და ხორცი ხარ
ბაგრატიონთა გვარისა.

საშვილისშვილოდ დასტოვე
მამულისათვის გმირობა,
გული გაქვს ტარიელისა
და ავთანდილის ზრდარობა!..

საშობლოს სიამაყე ხარ,
ნათელი გადგას ციური.
გმირობა მოგდევს ქართული
სიმკვირცხლე კავკასიური.

ქეჭა-ქუხილში თენდება,
ქარიშხალსა სცვლის მზეობა,
კვლავ საარაკოდ დარჩება
ბაგრატიონთა მხნეობა!..



ა. დარეჯანისძე

დამესიზმრა

დამესიზმრა: საქართველო
სამფეროვან დროშას ქსოვდა.
შიგ საყვარლად სატრფიალო
ნეტარებას ჩააქსოვდა.

ანგელოზნი გარს ეხვივნენ,
მომავალის ჰანგებს მღერდნენ,
ქართველთ შვილნი მოუსმენდნენ.
საკრავთ სიმნი როგორ ჟღერდნენ.

მე წინ წარვსდექ, მოელვარემ
აღვაპყარი ხელი ზეცას
და შევხედე ქალს მღუმარეს,
მისცემოდა იგა სევდას.

შევეკითხე: „ჩემო დაო,
ყველა ხარობს, შენ კი სტირი.
ეს რას ნიშნავს, ანდა რაო?
ყმაწვილი ხარ, ვითომ ჩველი?!“

მიპასუხა: „სიხარული
კარგი არის, მართალია,

მაგრამ ჰკენესის, ოხრავს გულს,
ცრემლი მისი წამალია!

ცხრა შვილი მყავს დამარხული
ცივ რუსეთის სამარეშო,
ეს მომიზლო მხეცმა, რომ ზის
იქ, მოსკოვის სავანეში“!

ნუგეშად მას ხელთ მივეცი
დროშა ჩვენი, ნაქარგავი
და ვუთხარი: „მოკვდა მხეცი,
მოკვდა ჩვენში ეკალთ მრგავი“!

აქ უეცრად ანგელოზთ ხმა
საამურად აგუგუნდა,
დაიწყნარა გული ქალმა
და ყველა ლხინს დაუბრუნდა.





ლეგ. ნ. ქართველი

ფიქრი სამშობლოზე

წამილებს ფიქრი ულამაზეს
საქართველოსკენ,
შემომატარებს მის მთა-გორებს
ზურმუხტ-ლალიანს,

დავხედავ თბილისს, ნაცნობ ქუჩებს,
ტურფა ბაღნარებს,
ვატყობ, რომ ყველგან სევდა მეფობს,
გლოვის ზარია!

დედა ქალაქი უჩვეულო
ბურუსს მოუტაცეს,
შეაღებსა გლოვობს ომში წასულთ,
მკვდრები ჰგონია,

- რა იცის იმან, მისი შვილი
მას რას მოუტანს,
თუმცა იცის დედამ მის შვილს მიზნად
რაცა ჰქონია!

შვილებმა დროშის გაშლა იწყეს
უცხო მხარეში

საქართველოდან გადმოფრენილ
ორბებთან ერთად, —

სურთ სამშობლოდან აილაგმოს
რუსის თარეში,
ალარ ბორგავდეს დატანჯული
მშობელი მიწა.

რათ შემოსილან სამშობლოში
დედები ძაძით?
რათ იფერება მკრთალი ლაწვი
სისხლისა ფერით?!

ჯერ არ იციან, რომ შვილები
მიისწრაფიან
ივერიისკენ ყიჟინით და
ძღვევის სიმღერით!..

ან სატრფო რატომ გლოვობს ტრფობას
სევდამოსილი,
ფიქრობს რუსეთის ცივ მიწაში
დარჩა მიჯნური;

არა, ლამაზო, თვალზე ცრემლი
არ დაგინახონ,
არ გაიტარო გულში ფიქრი
მავნე, გიჟური.

ნუ გლოვობ ტრფობას, ის მრთელია,
შეოლახავი,
მიჯნურის გული ანთებულა
ახალი ცეცხლით,

სურს გადაფრინდეს სამშობლოში
ბრძოლის მნახავი,
თამარის დროშა უსწრაფესად
ფრთა მალი მერცხლის!..



ლევ. ი. ხეველი

სიმღერა

ქართველნო, ჟამი დაგვიდგა,
მჩაგვრელი ვკაფოთ ხმალითა,
მამულს მონობა ვაშოროთ,
ჩვენი ვაჟკაცის მკლავითა!..

ერთად გავიდეთ ბრძოლის ველს,
ჯავრი ვიყაროთ მტერისა,
სულ მალლა, მალლა გვეჭიროს
ღროშაი შვინდისფერისა!..

ბრძოლაში ფიცად მიგვიძღვის
ანდერძი სალი-კლდოვანი,
მონურ სიცოცხლეს სჯობიან
სიკვდილი სახელოვანი.

რომ არ მონებდეს რუსეთსა
ჩვენი გულუხვი მთა-ველი,
მებრძოლ რიგებში ერთად ვართ
გერმანელი და ქართველი!..

ნუ დაღონდები, სამშობლოვ,
მოგიტანთ შვება-ლხენასა,
დაგიბრუნდებით შვილები,
გულში ჩაგიკრავთ დედასა!..



დ. მოხევე

იხელი

მე დავიბადე საქართველოს მცხუნვარ მიწაზე,
მისმა ველებმა ჩამინერგეს ურყევი სული...
'ძვლებად ჩამიდგეს დარიალის სალი კლდეები.
ხორცად კი მიწა—მამა-პაპურ სისხლით მორწყული.

ნანას მიმღერდა მაღალ მთიდან მჩქეფარე წყარო,
ავ სულელებიდან მფარველობდა დიდი მყინვარი.
გრიგალთ ქროლვამ რა გინდ შორსაც არ
გადმისროლოს,
მაინც ვიქნები მისი ეშხათ პირ-მოცინარი.

ჩემო სამშობლოვ, ნუ მოიწყენ, კვლავ ახმაურდი!..
ნეტარი დროის ბრწყინვალე მზე ისევ ამოვა
და დიდი ხნიდან მიჯაჭვული კავკასიონზე
ბორკილ აყრილი ამირანი ბარად ჩამოვა.

ლაშქრული

შევიარაღდეთ, ქართველნო!
აბჯარ ავისხათ წელზედა,
შევკაზმით ბედაურები,
გავიდეთ ბრძოლის ველზედა!

ერთხმად შეესძახოთ ლაშქრული,
ამოვიწოდოთ ხმალია,
მტერს „ვაი დედა“ ვაძახოთ,
გადავუხადოთ ვალია!..

განსაცდელშია სამშობლო,
გული აქვს გადაბზარული,
შავ-ბნელ ძალებთან შებმულა,
სისხლი სდის ნიაღვარული.

ბოლო მოვეულოთ მონობას,
ვიხსნათ ტანჯული ერია,
მრავალი წლობით ჩაგრული
გავხადოთ ბედნიერია!..

გერმანიიდან ხმა ისმის
გულ-რკინა მებრძოლისაო,
იხარეთ, კავკასიელნო,
მცხოვრებნო მაღალ მთისაო!..

აღსდგე ისევ!..

შეჭნიზენიხარ კავკასიის
უზარ-მაზარ მთა-მყინვარებს,
სად არწივი ფრთებ გაშლილი
მუდამ თავზე დაგტრიალებს.

ადაც ჯიხვი მთის კორტოხზე
რქებს ამაყად ატრიალებს,
ქიდილისგან დაქანცული
გაღმა ხეებს გაჰტრიალებს.

მთამ შთაგბერა მტკიცე სული,
გული მოგცა უტეხელი.

მტრის დევნაში ფეხ-მარდი
და სამშობლოს კარგი მცველი.

ფარ-ხმლით იდევ მტრის პირდაპირ,
არ შემდრკალა შენი გული,
კვლავ დარჩები ასეთადვე
ერეკლეს ხმაღს შეფიცული.

აღსდევ ისევ... ქართველი
მტერთან ბრძოლას გაადვილებს,
მღელვარე ზღვის ტალღა სწვდება
კავკასიის მთაგრეხილებს!..





ლევ. ე. ღ.

სიმღერა

დაურბევივართ ვერაგ მტერს,
სისხლი ღვარებად გვდიოდა,
სპარსი, მონღოლი, ოსმალი
ჩვენს მკერდზე გადადიოდა!..

გვტანჯავდა მეფის რუსეთი
არავინ გვყავდა მცველადა,
ხსნის ნაცვლად ბოლშევიკები
შემოგვეპარენ გველადა!..

სისხლს გვწოვდნენ, გვაწიოკებდნენ,
ზვრებში და ოჯახ-კარადა,
ისმოდა კვენესა, გოდება
გულისა შესაზარადა!..

იმედად ამოკაშკაშდა
მზე დასავლეთში შობილი,
უნდა დაიმსხვრეს მონობის
გამორკინული ბორკილი!..

უცხო მიწაზე შევკარით
ლაშქარი მამა-პაპური,

და გადავსწყვიტეთ ვიბრძოლოთ,
სისხლით დავიხსნათ მამული!..

შევფიცეთ სააკაძის ხმალს,
შიაგვრელი გავატიალოთ,
და დროშა ჩვენი სამფერი
მეტეხზე ავაფრიალოთ!..

რომ ბრძოლის შემდეგ, გმირები,
დავსტკბეთ მშობელი მდელოთი,
და ვამაყობდეთ ქართველნი,
ახალი საქართველოთი!..

* * *

ლეგ. მალველი

შევფიცეთ ხმალსა

მზე ამოვიდა თვის ბრწყინვალეებით,
სამშობლოს ცაზე დადგება დარი,
მტრისგან ჯვარცმული და ნაწამები
ისევ აღსდგება მამული მკვდარი!..

იცნეს, დედაო, შენმა შვილებმა,
ვინა ყოფილა მოსისხლე მტერი.
და აღუმართავთ შაშხანა ბალი,
რომ გამოისხნან მშობელი ერი!..

აღვემართია მალლა ლაქვარდში
სისხლით ნალები დროშა დიადი,
ფიცი მივიღეთ, შევფიცეთ ხმალსა,
რომ გავუფანტოთ მამულს წყვედიადი...



ლევ. 6. 6.

გველირსა, მზე ამოზრწყინდა!

წარსულის გაგონებაზე
მწარედ ქვითინებს გულია,
მესმოდა მშობლის გოდება:
წაბილწეს ჩვენი სჯულია!..

დაგვინგრიეს ეკლესია,
ჩვენი რწმენა და ღვინა,
სიტყვისა ნებაც წაგვართვეს,
ძალით აგვიკრეს პირია!..

წითელსა ჯარში ვიყავი,
შფოთავდა ჩემი სულია.
ძალლივით ვეგდე, მსტანჯავდნენ,
მქონდა ცხოვრება კრულია!..

წერილი რომ მოდიოდა,
ის მატირებდა მწარედა,
წაგვართვეს უღლად ხარები,
ველარსად გადავმალეთა!..

ჩვენი ხვავით და ბარაქით
სხვა ილხენდა და ძლებოდა.


შშრომელი გლეხის ოჯახი,
ულუკმაპუროდ კვდებოდა!..

გველირსა, მზე ამობრწყინდა,
გაპფანტავს ჯანლსა, ნალველსა,
დავამსხვრევთ მონობის ბორკილს,
ცხოვრებას გესლით ნალეზსა!..

ამოისუნთქავს მამული
თავისუფალი, ლალია,
და აყვავდება მიდამო
როგორც წალკოტი, ბალია!..

კვლავ აივსება დოვლათით
ჩვენი ქოხი და ნალია,
ერთად ვიშრომებთ, ოფლს დავღვრით
მოხუცი, კაცი, ქალია!..

შენს დასახსნელად მოვდივართ,
მამულო, შვილნი შენია,
მჩაგვრელს ვაგემოთ მახვილი
და ჩაუშწართ დღენია!..



დ. მთიული

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო!..

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“...
შენ გეტრფი, შენით ვამაყოფ,
აკაკის დავედარეო.

შორიდან გიძღვნი დიდებას,
ფირუზო არე-მარეო,
ჯალათებისგან დევნილი
გერმანეთს შევეფარეო!..


უთავისტომოდ არ დავრჩი,
მტერი არ გავახარეო,
გვერდს ამომიდგა საშველად
დიდი არწივის მხარეო!..

შენგან აღზრდილმა შვილებმა
ომი იციან ცხარეო,

ჩვალ და კვალ მტერთა შემუსვრით
კვლავ გესტუმრებით მალეო!


მაისის სხივით ნაქარგო,
ილაღე, გაიხარეო!

კვლავ გააგინათებს მიდამოს
ახალი ყოფის მთვარეო.



„საყვარელ ოჯახში“

ნახ. დ. მიხეილიძისა.



დ. ვ.

„გიგოლი“

ნახ. დ. მიხეილისა

ღარიალი

ცამდე აზიდულ სალი კლდეების
 შწვერვალებს ჰფარავს შავი ნისლები
 თაყვანსა სცემენ, არ ივიწყებენ
 მისგან აღზრდილი ქართველთ შვილები.

ის დარაჯია ივერთ სამშობლოს,
 საზღვარზე მდგომი მტრის შესახვედრად.
 იცავდა, იცავს და მომავალშიც
 მისი დაცვისთვის იდგება მედგრად.

აქ აუგია ციხე-სიმაგრე
 ჩვენს წინამორბედს, 'უძლეველ თამარს
 მას ადიდებენ ივერიელნი
 როგორც სარდალს და როგორც მეომარს.

აქ უბრძოლიათ გმირ მოხვევებს
 გამოუვლია ვიწრო ხეობა
 მყინვარ-წვერიდან მონაქროლ ნიავს
 შეუმატნია მისთვის მხნეობა.

აქ უბრძოლნიათ გმირ მოხვევებს
 ბარბაროსული რუსეთის ჯართან.
 ბევრჯელ დაღვრილა სისხლი ქართველთა
 კავკასიონის რკინის ქიშკართან.

აქ განგმირულან მტრის ცხელი ტყვიით
 ვაჟია, ანზორ, ტურფა ელისო
 მრავალი ბრძოლის მოწმეებია
 სალი კლდეები დარიალისო.

კვლავ იამაყე შენ, საქართველოვ!
 ნუ მოგბეზრდება თერგის ღრვალში
 შენთვის თენდება ბედინერება
 თავდები არის თვით დარიალი!..

მწყემსის სიმღერა

ჩონგურს სიმები აუწყე
დავძახე ახლებურია...
კარგი დაგვიდგა დროება
ტკბილი და საამურია.

ბევრი ვიტანჯე ბნელეთში,
გზა მქონდა გახლართულია.
ვატარე მძიმე უღელი,
კისერზე მაჯდა ურია,

ბოლშევიკურმა მონობამ
გამხადა ბედით კრულია.
ენატრობდი, როდის დადგება
იმათი აღსასრულია.

გათენდა!.. შვებას მოვესწარ,
ისევ შეხორცდა წყლულია
და სხვანაირად აკვნესდა
დღეს ჩემი სალამურია.

მთაში ვარ, ცხვარსა ვაძოვებ,
სიოც ჰქრის საამურია.
აქამდის ბედის მაწყევარს
ეხლა სიცოცხლე მწყურია!..

თერგი

ბორგავს, შხეფს ისვრის, ქაფდება,
კლდეებზე დაჯახებულნი.
თავს დასცქერს ბერი მყინვარი,
გულ-დინჯი, დაფიქრებულნი.

მოჰქუხს და მოსთქვამს რაღაცას
გულ-ფიცხი, გაჯავრებული
ლელავს, ასკდება ნაპირებს
ვით ვეფხვი გამძაფრებული.

კლდიდან დასცქერის ამაყად,
ჯიხვი ყელ-მოღერებული.
ბევრჯელ უნახავს მძვინვარე
ტალღებად აგორებული.

მუდამ ასეა, მშფოთვარე...
არასდროს დაღონებული
განა დაშრება როდისმე,
ილიააგან ქებული?

მორბის, მოიმღერს მარად ჟამს
ლელვისგან აქაფებული,
თენდება... გულ-მკერდს იქარგავს
სამშობლო გამარჯვებული.

ასრულდა ჩემი ოცნება...

არასდროს გამიხარია,
კაცი დავბერდი ტანჯვაში,
ულელში ვები მუდამა
როგორც ნიკორა ხარია.

კოლექტიურმა მონობამ
ცრემლი მადინა მწარია,
არ შემარჩინა ოჯახში
ალარც თხა, ალარც ცხვარია.

თავს დამიხვია საჯიჯგნად
მუქთახორების ჯარია.

განადგურეს ერთიან
ჩემი სახლი და კარია.

ველოდი დასავლეთიდან,
იქნებ მოვარდეს ქარია,
რომ კიდევ გამოალვიძოს
განაწამები მხარია.

ასრულდა ჩემი ოცნება,
ნეტა რას მოვესწარია!..
კაშ-კაშა დილა თენდება,
კარგი დაგვიდგა დარია.





ლევ. ბ. ყ.

ახალი ჩონგურული

1
დაუკარ, ჩემო ჩონგურო,
გათლილო იფნი ხისაო,
გულს ნისლი გადამიყარე,
გახდი ბულბულის ხმისაო.

მაჩვენე ტურფა თვალები,
ჩემი დამწველი მზისაო,
ის ახლა ჩემზედა ჯავრობს,
2
თვალცრემლიანი ზისაო.

ნისლო, მავალო ცაზედა,
მთა-ველი გადაიარე,
3
კავკასიონზე გადადი,
ნუ შეუდრკები გრიგალებს.

ერთი ლამაზი დავტოვე,
7
მხოლოდ ის მანაღვლიანება,
ჩადი და ჩემი ამბავი
იმედათ გაუზიარე.

თქვენც, ჩიტუნებო, მალხაზნო,
აქ რომ დაფრინავთ ლაღადა,

იქ მეტი სანავარდო გაქვთ,
უფრო აცხუნებს მზე ველად,

გასწით, გაფრინდით და მამულს
ამბავად ესე უთხარით:
შვილები მისი უცხოეთს
ერთად შევეყრილვართ მქუხარნი.

მერე მოკითხვა გადაეცთ
სამშობლოს ველებს, რძიანებს,
უხვ კახეთსა და იმერეთს,
ფშავ-ხევსურთ ვაჟკაცთ, ფხიანებს,

დაგრეხილ კლდეებს თუ მთათა,
ვერხვებით მოსილს ტყიანებს,
ცივ წყაროთ მთიდან ვარდნილთა
კოლხეთის ველებს მზიანებს!..

უამბე, როგორ გადევურჩით
შავ სიკვდილსა და ქარიშხალს,
რატომ ვირჩიეთ, კვლავ ხელში
რომ იარაღი ავისხათ.

გვიყვარს-თქო ჩვენი სამშობლო,
თამარის და ნესტანისა,
ჩვენი ხმალი და ადათი
დასტური არის ამისა.

დღეს ბნელა, ხვალ მზე იქნება

დღე დაუბნელეს ნეტარი,
მარტოა ახლა ეული.—
შავ ძაძებშია ნესტანი,
ქაჯეთში გამომწყვდეული!..

თავისუფლება წაართვეს
ქალთა ამ საოცრებასა,
მაგრამ მაინც არ ლალატობს
სიკეთის წმინდა მცნებასა-...

ამბობს: შვილები ქართლისა
დავითის ხმლის ქვეშ ზრდილიო,
შესძლებს ციხიდან დამიხსნას,
თვალებს აშოროს ჩრდილიო!..

თურმე შეყრილან უცხოეთს
და ერთ დროშის ქვეშ დგებიან,
ამ ღვთიურ, წმინდა საქმეში
მათ სხვებიც მიშველებიან;

ძმად გახდომია ბერლინი,
ბრძოლის დაუკრავს ზარია
და თავის ლომი ბიჭები
აქეთკენ გაუგზავნია!..

იმედის სხივი ციმციმებს
ახლა ნესტანის თვალებში;
დღეს ბნელა, ხვალ მზე იქნება
ჩვენს წალკოტოვან მხარეში!..

და დადგება ნათელი

ყველა ლხინობს, იცინის,
აღარავინ დარდობს,
ყველას რაღაც ახარებს,
შენ რა მოგდის ვარდო!..

მთვარეც ისევ ისეა,
იმდაგვარი ნაზი, —

გაფითრებულ სახეზე
 წერტილები აზის!

ყველგან ასე ანათებს,
 სადაც აღარ მივიდეს,
 მთებს, ქიუხებს, კლდეებს თუ
 მინდვრებსა და ბილიკებს.

ტყეც აქ მწვანით მოსილა,
 ყვავილები შლილობენ,
 ქარი არხევს ველ-მინდვრის
 ხავერდოვან კილობებს;

ტრფობის ყვავილს აქაც აქვს
 მიმზიდველი იერი,
 კაცი აქაც დასტკბები
 ქალთა სიმშვენეირით!..

მაშ, რა ნაღველს უპყრიხარ,
 გულს რა ნილი გფენია?
 ვარდო, რად ხარ მწუხარე,
 რაზედ მოგიწყენია?!

იქნებ ძმები მოგიკლეს,
 ყველა ფრონტზე გყოლია,
 და ისინი ამჟამად
 დახოცილი გგონია!..

ან იქნება მშობლების
 მომავალი გადარდებს,
 ველსად ხედავ ნიშნებსა
 ქვეყანაზე გადარდეს;

იმედები მახვრეულა,
 რითაც ერთ დროს სუნთქავდი,

და გულიც მთლად აკაფეს
ერთხელ ამოსუნთქვამდის!..

ან იქნებ ის განისლებს,
რომ ეს მთვარე, ეს მიწა,
ეს ბალები, ტყეები,
ქალები თუ თეთრი ცა —

არ ჰგავს შენი ქვეყნისას,
არ სდის მისი სურნელი,
და ნიავეც არა სჩანს,
ზღვიდან რომ ჰქრის სულ ნელი?!

თვალში იაე მიყურებ,
თითქოს ამბობ: „ცხადია“
და სახეზეც თანხმობის
ნიშანწყალი ჰხატია!..

მივხვდი, ახლა გავუგე
შენი გულს ვარამებს,
მეც თვით ხშირად ამ ფიქრით
მწუხარებით ვალამებ!..

მეც მფენია სახეზე;
ბედმა რაც სულ მოლია:
ჩვენი ქვეყნის სიტურფე,
მისი მელანქოლია:

მაგრამ მაინც მტკიცედ ვარ
აწმყო აღარ მადარდებს,
ერთიც ვნახოთ,—ამ ქვეყნად
კვლავ ხალისით გადარდეს.—

მაშინ ჩვენი სიმღერა
ქვეყანასაც ეყოფა.

მზე, ნისლების სამეფოს
კვალად გამოეყოფა

და დადგება ნათელი
იმდაგვარი ძალისა,
რომ მთლად ეყოს ქვეყანას
დაუღწეველ ხალისად!..

ბაღჩაში გაველ

ბაღჩაში გაველ...სალამო
მსუბუქ ნისლივით წვებოდა,
შიგ სუნი მეცა საამო,
ხეზე ბულბული დნებოდა!..

ვაშლი მოვწყვიტე წითელი,
ხშირ ტოტებს დასციმციმებდა,
რალაც სიამე ვიგრძენი,
გული ოცნებას მინებდა!..

ვაშლი მოვწყვიტე წითელი,
ვით შენი ლოყა იმ დამეს...
ოჰ, იმის შემდეგ შორს ყოფნით
გული ვით გამომიღამე!..

სიამეს მგვრიდა მოწყვეტა —
დიდი ხნის ჯავრი ვიყარე...
მეგონა: ღილი დაგწყვიტე
უბეში ჩამოვიყარე!..

ყურძნის დიდრონი მტევნები,
შენი თვალივით შავები,
მეუბნებოდნენ: რად გვიცქერ?!
მაღალ ხეს მიტომ შავებით.

რომ შენგვარები აქ მყოფნი
ველარ შემოგვწვდნენ ხელითა,
ველარ დაგვწყვიტონ სიცოცხლეს
ფიქრით,— შავით და ბნელითა!..

მენიშნა მათი ნათქვამი,
ოდნავ ნალველი შემყარა
და სწორედ მაშინ ბულბულმა
ჩამომიფრინა, შემხარა!..

ცად ავიხედე სიამით,
ნდომანი ფიქრებს მინებდნენ,
მოსარკულ ციდან ციალით
ცდომილნი დამციმციმებდნენ!..

ბაღჩაში გაველ... ხალისით
დინჯად ვიდოდი სახლისკენ,
უფრო მაყარეთ ვარსკვლავი,
გული ხალისით ამივსეთ!..

ეს შთაგონება იყო თუ
მეფუერი სიღარბაისლე, —
ყურში ჩამესმა: მალე გულს
თავისუფლებით აგივსებთ!..

მთის ქალის სიყვარული

ბიჭავ, მომხედე ღვთის მადლსა,
შენი მიჯნური მიცანი;
თვალა მიგიგავს ვარსკვლავსა,
შენზე ამომდის ცისკარი!..

როცა ვერ გხედავ,—დაგეძებ
თვალი გზას ეძებს ხსნისასა,

ბილიკებს ცრემლით მივრეცხავ,
წვიმას მიმიგავს ცისასა...

ბიჭი ბევრია ჩვენს მთაში
ვაჟკაცი, გულრკინეული
თმა-ქოჩორ, ულვაშ-კოკორი,
თვალმარჯვე ცეცხლი რეული

მაგრამ მზე შენზე ამომდის,
მსურს შენ დამწყვიტო ლილები
შენს ცეცხლის თვალებს,
ფართე მკერდს შორიდან ველიმილები!..

რა იყო, რად მებუტები?!—
ვარდი ვარ ხელუხლებელი,
ჯავრი არა მაქვს სრულებით
თუ შენ ჩემი ხარ მხლებელი,

მაისას ვაშლის ხეს ვგევიარ
ჯერაც მეზრდებო კვირტები,
ვაჟური ეშხის მონა ვარ,
მტანჯავენ შენზე ფიქრები...

გულს დავირეცხავ სიამით,
თვალეებზე სხივებს დაგიფენ,
ოღონდ რასაც გთხოვ ჭაბუკი
შემომბედე და დამითმე!..

თანაც იცოდე, რომ შენი
გული არ უნდა სცრუობდეს,
თორემ მახვილს გზას დავუთმობ,
ცამ მრისხოს თუ კი ვტყუოდე!..

იცოდე მხოლოდ ერთი რამ,
მაზიდვინებს მე ეგოდენს,
მაღალი სიყვარულის ქვეშ
მხოლოდ მსურს დაგიმეგობრდე!..

მაგრამ თუ კი შენ ამ ციურ
ნიჭის არა ხარ მზიდველი.
უბრალო მომაკვდავი ხარ
გულის არ შემომწირველი:

წადი, დამტოვე ქაბუკო,
ჩემშივე მოვკლავ ვნებასა,
ყველაფერი სჯობს მთის ქალის
სახელის მოცივნებასა,

შენ მაინც კარგად იყავი
წლები გადგექცეს ლხინადა,—
ჩემთვის გამწყრალო სიცოცხლევ,
მუდამ იცოცხლე ტკბილადა!..

ამონაკვეთები

არ მენანება.

არ მენანება. თუნდაც ტრამალზე
მნახონ უსულოდ ყორნის თვალებმა,
გესლი აპკურონ სულ ჩემს სავალ გზებს,
ან გამიტაცონ ღამის ქარებმა...
ოღონდ ვიცი — ამ ქარიშხალში
საით წამიყვანს ბედი ტიალი,
სად დაიცილება სიცოცხლას თასი
და შემიწყდება ქვეყნის ტრიალი!..

რა საჭიროა?!

რა საჭიროა მაშინ მიცნობდე,
როს არ მჭირდება მზე და გართობა,
კაცმა ტანჯვაში უნდა იცოდე
ამხანაგური გრძნობით დართობა!..

შენზე ფიქრები...

შენზე ფიქრებში მზესთანაც მიველ,
მზე მომეგება ვარდივით გაშლილს,
მთელი არსებით მივენდე ფიქრებს
და ჩავიძირე ოცნების ზღვაში!

იქ სიხარულის განცდად კმაროდა
თქვენი ციმცუმი, ვარსკვლავთ დასებო,
მაგრამ სამშობლოვ, რომ მომაგონდი, —
კვლავ გავიხსენე, — რისთვის ვარსებობ!..

შენი ბარათი...

გამოგეგზავნა მზე და ლაღარი,
ვარდი ჩაგედო შიგ ფერუცვლელი,
მაგრამ ვიცოდე: ნეტავ რად არის
სიტყვები სავსე ცრემლის კურცხლებით!..

შენავე გძალიძს...

შენ შემიმშრალე ცრემლების თქეში,
დამხსენი ერთ დროს სიკვდილს. თოლია,
და შენვე გძალიძს გაჰფანტო ჩემში
ეს უცხოეთის მელანქოლია.

ჩუმად გიცქერდი

ჩუმად გიცქერდი ობოლი გედი,
მესმოდა შენი სუნთქვა სულ ჩელი.
მწყუროდა ბროლის ფაფუკი მკერდი
და გიშრისდარი თმების სურნელი!..

იქ ხომ...

იქ ხომ უბრალო ხეც გაშლილია,
ჩაგშრილებენ ყურში ვერხვები!..
სანამ ქართული მიწის შვილი ვარ,
უცხოეთშიაც თბილისს ვეხვევი!..

ჩვენი სამშობლო

62. ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქვეყანა
ვარდ.-ყვავილებია ფარჩით მოსილი,
სადარებელი მაღალ მზესთანა,
უხვი, გულლია, კლდემა მოსილი!..
გვიყვარს, ვუმღერით ხშირად მიტომაც
სამშობლო ჩვენის ყოფნის ფესვია,
სისხლს არ დავზოგავთ შეგებმით მტერსა,
წმინდა ანდერძი გულს გვითესია!..
ბრძოლის ქარცეცხლში ერთად ვიაროთ
იცოცხლე მუდამ, გულით იხარე!..
მშობელო მიწავ, ნუ ხარ მწუხარე:
ღარი გვიდგება საგანთიადო!..

მთაო, ლამაზო!..

70 11.24.
მთაო, ლამაზო, მაღალო, ლ
ნახატო ვაჟას ხელითა,
დამშვენებულო ვარდებით
და ჯეირანის ყელითა,
ჩანჩქრებით აქუხებულო,
პირმოცინარო მზე ვითა,

დინჯო და სწორად ქებულო
ბილიკებით და ხევითა,

მინდიას სიბრძნით აავსეო,
ყველგან განთქმულო ხმალითა,
დიდო და გალალეზულო
თავისუფლების ძალითა,

შორიდან სალამს გიგზავნი,
ბრძოლით ანთებულ გულითა,
უცხოეთშიაც აღვსილვარ,
შენდამი სიყვარულითა!

რა მქონდა წინად?..

რა მქონდა წინად? — გული ვნებული,
რაშიც ნალველი იდგა მთებურად,
და როგორც მოხუცს კლდეში შეხიზნულს,
განდეგილობის ჩისლი მებურა.

უნათესაო ვუხმობდი ლანდებს
სულ სხვა სამყაროა წრიდან მოსული,
და დავცქეროდი თბილისის ლამეს
ბარათაშვილის სევდით მოცული.

არ იყო აზრი, არ იყო განსჯა,
არ იყო გრძნობა და გულის ფეთქვა,
და სადაც იყო საჭირო „არა“
იქ იძულებით „ჰო“ უნდა გეთქვა.

მოდინდა ღვარად ცრემლები თქეში,
ისე აელვდა ორპირი დანა,
რომ ანატრელი გახადეს ჩვენში
მაჰმადხანის და თემურის ხანა.



„შეღარს ცხენზე ელო ღიაცის ცხელარი...სისხლი
მოქონავდა მის მკერდიდან...“

ნახ. ი. ევგენიძისა.



„არხოტის გამოქვაბულში ცეცხლი ენთო...“

ნახ. ი. ნევენიძისა.

ვარდი დაწყვიტეს ობლად ნაზარდი.
რაშიც სურნელი ტკბილად დნებოდა
და ეს სამყარო ააე ლამაზი
მთელ ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა.

რალა ვიყავი, — უბალოდ ვარდი,
ან მზე, — რომელიც უდროოდ ჩაქრა,
ისედაც მწარე ცხოვრების ლანდი,
ან მღელვარე ზღვის სნეული აფრა.

კაცი, რომელიც სევდის ზღვაშია,
გული აქვს შავი, ისევ ვით ფისი
და ნალვლიანი არის მაშინაც,
როცა ტოლები ლალობენ მისი.

არ დავეძებდი სიცოცხლის ბოლოს,
რაც ბედშობამ ნისლით დაფარა,
მწარე ფიქრებით შეპყრობილს ოღონდ.
ლამე მქონოდა თავ შესაფარად.

ლანდებს ვიხმობდი ფერებ დალეულს.
მასკარადებში გული ქკნებოდა
და გრანელივით გზა-კვალ აბნეულს
ცაში გაფრენა მენატრებოდა.

ახლა? გაფითრდა მდეგარი ბედი
და სხვა ნათელი აენტო ცაზე.
გული გალაღდა და კვლავ არ მღერის
ბარათაშვილის სევდიან ხმაზე.

და მაინც კიდევ თუ ვინმე ატირის,
გაუქრა რწმენა და ბნელში დადის,
დაჰკიდებია ცრემლების მძივი,
გულს ჩარჩენია თბილისის დარდი, —

თითონ თბილისში სხვა მზეა ახლა,
მზე აცისკროვნებს ფიქრთა ხვეულებს,
დედა-ქალაქი სულ მალე ნახავს
შვილებს გმირებად დაბრუნებულებს!

მინიატურები

1.

თუმც აქ ქართულ მზის სილალეს ვკარგავ,
აღაღაც არ ვიყო, — უცხო ფონია,
მიწაც ჩვენებურს არა ჰგავს, მაგრამ
ცა მაინც ჩემი ქვეყნის მგონია!..

2.

სამშობლოვ! კიდევ როდის გიხილავ?!
მტანჯავენ შენზე მწარე ფიქრები!..
ამიღმართია ხმალი ვაჟკაცებრ
და ძმების მებრძოლ რიგებს მივყვები!..

3.

ხან მზე მფენია გულში იმედად
და სურვილები ცამდე მიმსვლია,
ხან ტყვედ ვყოლივარ ღამის ფიქრებს და
ხან სატრფოს თვალებს დავუწისლივარ!

4.

ბრძოლის სიმძაფრეს ველარ უძლებდე.—
აღარ შეშვენის დროს და ბუნებას...
მწარე ბრძოლაში უნდა ჰპოვებდეს
კაცი ცხოვრების დანიშნულებას!..

5.

გული რად მივსცე ალვისტანიანს,—
რად ვაბატონო მაცდური გედი! —
ბრძოლაში კაცის მეგობარია
ხმალი და არა ფიქალი მკერდი!..

6.

ამბობენ: ახლა სამხრეთში ბნელა,
დედა-ქალაქი ობლად ტირისო!..
შენი შვილები აქა ვართ ყველა,
ნუ მოიცრემლვი დედავ თბილისო!..





ლევ. ლ. ს.

მამული იმღერებს

დამენისლა ფიქრი, აზრი,
 გულმა იწყო ოხვრა, კენესა,
 მაშინ გაქრა ჩემთვის ლხენა.
 როს მომწყვიტეს მშობელ მთებსა!..

რალადა ღირს მის სიცოცხლე,
 ჯიხვი თუ მოიტეხს რქებსა,
 ან მთის ქალი, ტურფა-ნაზი,
 თუ მოაქრის ნაწნავ-თმებსა!..

მთას უყვარდა ხმლისა ქნევა,
 არ არღვევდა ადათ-წესსა.
 შეჭფიცავდა სისხლით მიწას,
 მტერს ხოცავდა ბრძოლის ველსა!..

დღეს კვლავ ხელში გვიბრუნდება
 ხმალი ჩვენი უცხო მხარეს.
 ბრძოლის ცეცხლით დავიბრუნებთ
 საქართველოს არე-მარეს.

ვინც არ მოკვდეს სამშობლოსთვის,
 გული მისი დაილახვროს.

შხამად ერგოს მშობლის ძუძუ
დასამარდეს, დაიმარხოს!..

მოვა დრო და ჩვენი მიწაც
იგრძნობს ცხოველმყოფელობას,
მთაში დასტექს ძღვევის ხმები
და მოიტანს სამფერ დროშას!..

დავბრუნდით ჩვენს კერაზე,
ვნახავთ ოჯახს, სახლ-კარს ეულს
და მამული გამარჯვების
ჭანგს იმღერებს დიადს, გრძნეულს!..





გუშაგი.

ლაშქრული

გავშალოთ დროშა თამარ მეფისა,
კვლავ ვკაფოთ გზები წინაპრებისა,
ჩვენო ლაშქარო, წინ და წინ, მედგრად!
ყველა ქართველი შობილა მხედრად.

შორით გამოჩნდა კავკასიონი,
დროშას გვიკურთხებს ძველი სიონი.
მაშ მედგრად, ძმებო, ვეკვეთოთ მტერსა,
ავსხნათ ბორკილი მშობელსა ერსა!...

ქართველთ მტკიცე გვაქვს ჩვენ მეგობრობა,
გერმანელთ ლაშქარს შევფიცეთ ძმობა,
ბრძოლისა ველზე მივეცით ხელი,
სისხლით კავშირი არს უტეხელი!...

ვართ ჩვენ მემკვიდრე ძველი დიდების,
გვახსოვს ანდერძი სახელოვანი
მაშ მალლა დროშა თამარ მეფისა,
დროშა ძლევისა, სამფეროვანი!...



დ. არაგველი.

ქართველო, ხელი მომეცი!..

ქართველო, ხელა მომეცი
კავკასიონის მთიდანა;
მინდა შენ ძმობა შეგფიცო
მე დასავლეთის მხრიდანა.

თუმცა შორი-შორ ვბინადრობთ,
გვაშორებს მთა და ველია.
ჰაერში ვიფრენ შენამდე,
რომ მოგაწვდინო ხელია.

მე გერმანელი მოდგმის ვარ,
შენ ზურმუხტ ქვეყნის შობილი...
სრულდება ჩვენი ოცნება,
მთა ხდება ბარის ძმობილი.

პატარა მარგალიტი ხარ,
მემკვიდრე რუსთაველისა,
იმედი გქონდეს ყოველთვის
შენი მარჯვენა ხელისა.

დასავლეთიდან გეჩახი...
ხმა გამეც ივერიელო!
მომაქვს გულთბილი სალამი,
მტრისთვის კი — სამაგიერო.



დ. ბ.

სიმღერა

კავკასიონის მთებზე გაზრდილი
საუკუნეებს ეალერსები,
ტკბილად მოიმღერ ქართულ სიმღერებს,
რომ სალამურზე მღერენ მწყემსები.

შენ მოამბე ხარ ქართლის ცხოვრების,
აღრიცხული გაქვს ეს თარიღები.
ოდეს ქართველნი მტერთან შებმულან
ასხლში ამოსვრილ ბაირაღებით.

შენს გმირულ გულ-მკერდს ბევრჯელ უხსნია
მტრისგან დევნილი ელგუჯა, კობა.
გმირული ბრძოლით ქართველმა ხალხმა
დაიმსახურა ერთობა, ძმობა.


შენ გამოზარდე ქეჩა-ქუხილში
ქართული სიტყვია დიდი მგოსანი.
აამეტყველე ხევის ყაზბეგი,
კლდეს დააჯახე ჯიხვი რქოსანი.

შენს გულ-მკერდიდან ამონაქროლი
გრილი ნიავი კაცს ააულდგმულებს.

შენთან მოსულა თვით განდეგილიც
და შეჰფარვია გამოქვაბულებს.

მეც შენ გეკუთვნი სისხლით და ხორციით,
არა ვარ უცხო, ქართველ ვარ ტომით.
მსურს რომ დაგიცვა უწმინდურთაგან,
ბორკილი შეგხსნა მრისხანე ომით.





ლევ. თ. მანანური

ლევგიონების სიყვარული

თბილისში ერთი ასული არი,
ჩემთვის გული რომ შემოუნახავს,
როგორც აპრილის ყვავილებს ქარი, -
მე მასზე ფიქრი წამილებს ახლა...

ჩემმა წერილმა დაიგვიანა,
იმედსაც აქრობს დილა ყოველი;
რბიან დღეები შავფიქრიანი
და გაღიმება გაუყოლელი.

მიგლოვოს? აბა, როგორ გაჰბედოს, -
კეთილი გული ვით გამიმეტებს,
ისევ ნანატრი და უცაბედი
სხივი მოჰქარგავს ლამაზ იმედებს!..

არ ჰქარგავს იმედს ქართველის ასული
თმა გიშერა და ცისფერი ქალი,
ტკბილი, ვით ჩემი ქვეყნის წარსული,
წმინდა, ვით ბავშვის გოლის ფართქალი!.

მას გლოვა ისე აღარ უხდება,
ვით მყინვარს ნისლით შებურვა მუდამ-

ქართულ ველებმა და ქიუხებმა
მზის ელვარებით იცინონ უნდა.


ქართული ზეცა კვლავ ცისარტყელას
გარს შემოივლებს ოქროს შოლტებად,
რასაც ქართული ჰქვია სახელად, -
მას მწუხარება ჩამოშორდება!..

იგი ასულიც, ახლა რომ ნელი
ოხვრით ნებდება შავლეგა ფიქრებს,
და რაც ყველაზე უფროა ძნელი,
ჩემს დაბრუნებას არც ელის იქნებ, -

მზეს გაუცინებს, ლეგიონერთა
ვაჟკაცურ ყიჟინს რომ გაიგონებს,
ძღვევის ხმა ქართველ ლეგიონერთა,
რომ მოედება ქართლის მთაგორებს!..

მეც ჩავალ თბილისს სახელოვანი,
ვნახავ იმ ასულს და ვეტყვი: „ჩემო,
თუმცა წერილი დამიგვიანდა,
აწ გოლი დარდებს აღარ უჩვენო!

აღსდგა მშობელი მხარის დიდება,
სისხლის წვიმებმა გადაიდარა
და... ჩემი თავიც თუ დაგჭირდება
ჩემი ქვეყნის და შენი ვარ მარად!..“





ლევ. გ. სისაური

დაჰბადე გმირი

ჩამოლამდება შორეულ მხრიდან
და მთა წმინდიდან წამოვა ნისლი,
მოეფინება მიდამოს ნაცნობს
იღუმალემა, მთებისა ფაქრი...

მეძახის მიწა, მომესმის შორით
გულდაკოდილი მტკვარის ქვითინი,
ცრემლს დაუთრთვილავს მშობელა მხარე
თვალცრემლიანი მეტეხი სტირის...

რაზედ ჰქვითინებ ზვიადო მტკვარო,
ნუთუ წინანდებრ აღარ მჩქეფარებ?!
ზურმუხტ მამულის გულუხვ ველებზე
შენს ხმას რაინდულს არ ამჰეჭარებ?!.

მიამბე რამე, გული გამითბე,
რამდენი ტანჯვა გამოგვივლია,
ნუთუ წინანდებრ აღარ მჩქეფარებ?!
და ბრძოლის ცეცხლი გამოალია?!.

აქუხდი ისევ, ზვირთა ზვირთს დასცი
ნუ მოიცრემლვი, გეყოფა სევდა,
დაჰბადე გმირი, შეჰკარი ხალხი,
რაინდობის და გმირობის დედავ!..



1-111/111

ლევ. კ. რაჭველი

საქართველო

სად გინახავთ თქვენ ამგვარი თვალწარმტაცი
 არე-მარე,
 ან ოცნებით ღამით მნათი მოკაშკაშე ბადრო
 მთვარე,
 ძნარი მეტად სამუსიკო: მოსასმენად ძალზე
 ტკბილი,
 ათასგვარი ხმით აღვსილი, ათასგვარად
 შემკობილი!..
 როს მზიბლავად მთის წვეროდან ცივი წყარო
 მოჩხრალებს,
 თან ევლება მზის სხივები დაფერავს და
 აპრილებს.
 ველს გულმკერდზედ მოსდებია ყვავილთ მეფე—
 თეთრი ვარდი,
 მრთვულებით, სიყვარულათ ბულბულს უყვარს აქ
 ნავარდი.
 ლამაზ მხარეს შევეტრფი შვილი, არ ვივიწყებ ტურფა
 მდელოს,
 ოცნების ბაღს, ქვეყნის მეფეს, ვენაცვალე
 საქართველოს!..

ჩემო სამშობლოვ!..

როს წარმოვიდგენ შენს აოხრებას
ოცნება მიჭერს რკინის მარწუხებს,
არ მძინავს ღამე, დღე ვერ ვისვენებ,
შენი მწუხარე ბედი მაწუხებს!..

რა უხარელად, რა გულსაკლავდ
წასვლიათ ფერა შენს ბაღის ვარდებს,
დროის სისუსხით თავს ხრიან დაბლა
და მისცემიან მწუხარე დარდებს!..

გასცვივებია ფოთლები ხეებს,
დადუმებულა ჩუხჩუხა წყარო
ჩადრით მოსილან დღეს შენი მთები
ჩემო სამშობლოვ დაუვიწყარო!..

გახუმებულა ქართული მდელი
სიმხიარულეს ატყვია კლება,
ვგრძნობ შენი გულიც როგორა კვნესის
და შენი თვალი ვით იცრემლება!..

იქნებ გგონია გადავივიწყე
ვენახი, ბაღი ატმის რტოებით,
თავი მოვეცი ფიქრებს უზრუნველს
შენ კი დაგტოვე განმარტოებით!..

არა და არა, სანამდე ვსუნთქავ
გულს შენი ტრფობის მინთია ალი,
და ჩვენ ორივეს ჩემო სამშობლოვ
გვწამდეს ბრწყინვალე დრო-მომავალი!..


ნუ შეგაშინებს სისხლი და ცრემლი,
ან სხვა ათასი მსგავსი წამება,

რამდენად მეტად გაუძლებთ ქარცეცხლს
მით უფრო მეტად დაგვეამება!..

მოვა დრო მალე, გესლიან ასპიდს,
დავჭრით, ავკუწავთ შვილები შენი,
ცეცხლით დავბუგავთ, დავწვავთ, დავხრაკავთ,
რომ თესლიც არსად იყოს ნარჩენი!..

მაშინ შენს ფირუხ ცაზე ღრუბელი
გადაივლის და გამოიდარებს,
ქაჯთა სამყარო ველარ გაუძლებს
ერეკლეს ხმალით შემკობილ ჯარებს!..

რა სიხარული და ნეტარება
დაისადგურებს მაშინ ჩვენს გულში!..
მთა და ბარს მოჰფენს მზე ბრწყინვალეებს
ვარდიც იხარებს კვლავ ჩვენს მამულში!..





ბაზალი

გიგოლი

თორღვათ გიგოლის აქებენ,
 ყმაწვილსა ცოტა ხნისაო,
 ომისა ხანი არ ჰქონდა,
 ქისტებზე ხმალსა ცდისაო

გუგუამ წიგნი მოსწერა,
 მოკითხულობა ძმისაო:
 მე ვნახე, ძმაო, გიგოლი,
 ადგილი შავეთისაო!

მიმტყუნა სიბერკაცემა,
 დრო აღარ დამრჩა ცდისაო,
 ხელი მკრეს, ხევში ჩამაგდეს,
 წერა გამხადეს კლდისაო:

ახლა შენ იცი „გიგოლი“
 ვოჟი ხარ კაიჭკვისაო,
 დიდხანს ნუ დააგვიანებ,
 სისხლი აიღე ძმისაო.

მაშინ წამოდგა გიგოლი,
 ბედი ახსენა ღვთისაო:

მალალო ღმერთავ, მანახვე,
 მამკლავი ჩემის ძმისაო.

ადგა და გადაიარა
 ქიუხი მთები კლდისაო,
 დაიქვეითა ვაჟკაცმა,
 ვით ჯეირანმა ტყისაო.

ჩამოვა პირიმზეჩია,
 წყალობა დახვდა ღვთისაო,
 დაჯდა, დარიგდა მხვეზარი,
 დრო არის ჩენი სმისაო;

ჯარზე სამ შეხვდა გიგოლის
 მამკლავი თავის ძმისაო;
 საით მოსულხარ, ძმობილო,
 წოვა თუშეთის მხრისაო!

აი თქვენ ჯაბან რუსებო,
 დღე გიბნელდებათ ცისაო,
 შორით მოვსულვარ მოხვევე,
 სისხლი მჭირს ჩემი ძმისაო.

გაჰკრა, გამოჰკრა რუსებმა,
 ყველა დააწყო ძირსაო,
 ლომივითა დგას ვოჟაი,
 მოლოდინი აქვა მტრისაო.

სახელიც ნუ დაეკარგოს,
 ლუხუმთჩოხელას შეილსაო...
 გოგიამ ცხენი ათხოვა,
 ვითა აშარი რბისაო.

შეჯექ, ვოჟკაცო, იმგზავრე,
 მდევარი მოგდევს მტრისაო,

მთაში გაფრინდა გიგოლი,
ქორ-შევარდენი მთისაო.

სოფლად ჩამოვა კარკუნსა,
სალამო-ჟამის პირსაო,
თემსაც გვაჰმე სახელი,
სულიც გიცხონდეს მკვდრისაო.

ემაგ ლექსისა მოლექსე
ქიუხის კარზე ზისაო,
ლექსოვ, ნუ დაეკარგები
მოხევე კაცის შვილსაო!..





ლევ. ლ. ლინი

გ უ ლ დ ა ი

1.

შემოდგომის ღამე იყო.

საშინლად წვიმდა. ცივი, სქელი ნისლი დასწოლ-
ოდა სოფელს.

არშის კლდის უბეში კიაფობდა ობოლი შუქი.

ბალიაურთ ჭოხში იწვოდა კვარი. კერის პირას ორ-
ნი ისხდნენ.

ძილისპირმა მოატანა, აშარი მომძლავრდა. ქარმა
შემოჰგლოჯა სარკმელი. კვარი ჩაქრა, წვედიადში
დაირხა ფოლადის წკარუნი.

ქრუანტელმა უკბინა გულდაის; ხელი დაავლო მუ-
გუზალს, ურდული ნახა, მერე გაჰყვა კედელს ჩალის
ახლოს მიწაზე ფრანგული ეგდო.

—შვილავ... დაიღრიალა გულდაიმ და უაზროდ
ჩასქიდა ხელი ცივ ფოლადს. თენგაის ფრანგული და-
ეცა მიწას, თენგაის მკლავი მოიღუნვის.

—შვილავ!.. შვილავ!.. ყრუდ გაიმეორა დედამ.
კოლ-ქმარი შიშმა შეიპყრო. ავს უქადდა ოჯახს ფრა-
ნგულის ჩამოვარდნა.

თენგაი მარიამობის ღამეს მოსწყვიტეს კერას. ცხო-
რი დააობლეს, ციროს გული დაჰკოდეს. მოაშორეს

სოფელს მოჯირითე ვაჟკაცი. საბრალო მამა შვალს
 ყაზბეგამდე ჩაჰყვა. ეძნელებოდა იმას თენგაის მოშო-
 რება. გამოთხოვებისას გულდაიმ შვილს ახალუხის
 ჯაბეში ჩაუდო ერთი მუჭა მიწა. და ემუდარა მამა
 შვილს, თავის სისხლს...

— გიყვარდის შვილავ შენი მიწაი, მტერ მოგეკ-
 ლის, გფარვიდის წმინდა გივარგი. ქალარა გულდაიმ
 ორი ობოლი ცრემლი გადმოაგდო. თენგაი ანგარიშ
 მიუტეებლად იდგა, იგი მაშინ გამოერკვა, როცა ლო-
 ყაზე შეეხო მამის სქელი წვერი.

— ცირაი შემინახვის... ცხორ შემინახვის — იყო
 თენგაის უკანასკნელი სიტყვები. ავტო-მანქანა დაი-
 ძრა დარიალისკენ.

ხევის შვილს თენგაის, უკან რჩებოდა ლალი ოცნე-
 ბანი ზურმუხტოვან ახოებზე, საყვარელ ცხვრის
 ფარაზე. ნანობდა თენგაი: ციროს სქელ ნაწნავეებში
 ვერ გაეხვია, მის მარწყვისებრ სველ ტუჩებს ვერ
 დაეკონა. აღგზნებული გული გოგოის მკერდს ვერ
 შეაწევა. მწარეა განცდა...

ყველაფერი წარმოუდგა თვალწინ გულდაის. დე-
 დამ ავი სიზმარი ნახა და ახლა ფრანგული დაეცა მი-
 წას. ვინ იცის სად დააგდებინეს თავი მის თენგაის!
 იქნებ ყვავ-ყორანი ჰკორტნის მის ვაჟკაც მკერდს!
 არა, თენგაის ტყვია არ მოჰკლავდა—ფიქრობს დედა.
 გარეთ წვიმს...

წვიმს ცოლ-ქმარის გულშიც.

2.

ჯახანი გაისმა ურდულზე. არ ჰგავდა იგი ქარის
 მოწყდომას, არც ზვავის ხუილს. ქარის სისინში ძა-
 ხილი ისმოდა.

— გულდავ!.. გულდავ!.. გულდაი შეკრთა. ავსუ-

ლის მეტ ვინ უნდა იყოს ამ დელგამ ლამეში, ახლა ნადირიც ბუნაგში წევს — წუთით გაიფიქრა იმან და კარებთან შესდგა.

— არაბულია ვარ, არაბულია — გაისმა ხმა გარედან.

— არაბულია!.. — გაიმეორა გულდაიმ, კარმა დაიქლარუნა, არაბულა შემოიქრა ქოხში.

— რა ამბავ მოგვიტან — ეკითხებოდა იმას გულდაი. არაბულას ამოსვლა იაფად არ უღირდა სოფელს: მაშინ ავაზაკს ეძებდნენ, ბეგარას ითხოვდნენ, გზაზე უნდა ემუშავნათ, მთავრობის ტყე ექრათ, მატყლი და ხორცი ჩაეზიდნათ, თემის საქმე ეკეთებინათ, მაგრამ ბალიაურებმა ყველაფერი ეს მოისტუმრეს.

არაბულამ ხელი გაითბო, ნაბადი გადასწია, ახალუხიდან ამოიღო ქალაღდის ნაგლეჯი. გულდაი აენტო, თრთოდა, ქალაღდს მუგუზალი დაანათეს.

— ყაზბეგჩი გიბარებენ — წარმოსთქვა არაბულამ ცოტა ხნის შემდეგ.

— ყაზბეგჩი?! — არეულად წამოიძახა გულდაიმ, — მერედა რაისთვი, რაი შევცოდი? ბატკნები მოგიყვანათ, მატყლი წამართვით, მთელი ზაფხული გზანი ვეგდეი, შვილაი ომჩი ჩამიკარგეთ.

— თავკაცმა ინდომა, სტალინმა ბრძანა ხევი კაც შეაქუჩეთაო, მტერ მოგვიდის, სალდათობაი გველის...

— სალდათობაი... სალდათობაი მერე და ვის მიწაზე!.. რუსის მიწაი დასველდის მოხევის სისხლით? მერე ოჯახი, ცხორი? ნაქერ-ნაქერ ამბობდა გულდაი, მისი თვალეები შურის ცეცხლით მისჩერებოდნენ არაბულას, ძარღვებში უჩქეფდა ამბოხი სისხლი.

— დედის ძუძუი გაგიშავდის... ჯალაბ დაგემხვის — დაიღრიალა გულდაიმ და ხელი ჩაავლო არაბულას ხანჯალს, მერე რალაც მოაგონდა, ნაფიც-

ნი იყვნენ, ხახმატობისას გაცვალეს სისხლი, თავი შეიკავა.

არაბულაი სდუმდა, კვარის შუქზე ნაბდის ბეწვ-თაგან ჩამოდიოდა წყალი, სტიროდნენ ბნელში ვერცხლისფერი წვეთები.

გულდაის გაშმაგებამ თავზარი დასცა დიაცს, იგი ჩალაზე დაემხო, ქვითინებდა. არაბულამ ქოხის კარი მიიხურა, ცხენს მოახტა. კაცი და ცხენი წყვლიადმა გადაჰყლაპა.

3.

ნაბრძოლვე ბუნება დაამდა.

ხეცები დაწყნარდნენ.

არ ეძინა მოხევე გულდაის. მისი გული ხმაურობდა.

—სისხლი!.. სისხლი!.. ჩურჩულებდნენ გულდაის სქელი ტუჩები, ფართოვდებოდნენ თვალის გუგანი.

სკივრი გახსნა. ადათს არ უღალატა. მამისეული თოფი ამოიღო. ამოაძრო ქისტებთან ბრძოლაში ნაქები ფრანგული. ნაბადი მონახა, მერე კერასთან დაიჩოქა...

—ქალავ, შემინდის მე უბედური!—წარმოსთქვა იმან და გადასწერა პირჯვარი ოჯახს, ურდული გადასწია, ფარეხში ჩაირბინა, ეამბორა ცხვარს, ჩაიკრა ნაცარა ვერძი, გაადვიდა ძალი და რალაც დაუბარა... ფეხაკრეფით მოშორდა ფარეხს, ხანჯლის ყუთით ჩამოტეხა ქვა, ნატეხი უბეში ჩაიღო.

ბილიკზე მიდიოდა ლანდი. იგი შედგა, მიმოავლო თვალი საჯიხვეში გამოკვეთილ კარმიდამოს.

შორს, მთაში გაჰკიოდა ბუ.

გულდაის ქოხში კერაზე, უკანასკნელი მორი იწვოდა...

დილამ ღამე კლდეზე გადააგორა.

ბალიაურთ ოჯახში მწუხრი იწვა. გულდაი აღარ იყო. უპატრონო ფარა ბლადდა.

ბალიაური ჭიუხებს მიჰყვებოდა. აჰა, მიაღწია იმან გორმალას, აქედან ხელის გულივით მოსჩანს არწა, თერგი, უფსკრულში ჩაქანებული მთები, აქაფებული რძისფერი ჩანჩქერები.

მიდის გულდაი და მისდევს გაბმული ფიჭრი.

— სისხლი!.. სისხლი!.. — თითქოს იდუმლად, შთამაგონებელის ძალით ჩასჩურჩულებს იმას ვილაც. თოფი მოიმარჯვა, უკან მოიხედა. უკან მთები იდგნენ ნისლის ყაბალახით თავწაქრულნი.

მაღალია არხოტის ციხე-არწივის ბუდესავით ჰკილდია იგი გერგეთის მთაში. საუკუნეთა მანძილზე ყოფილა იგი ხევის დიდების გამომსახველი. მრავალი სისხლის მოწამეა ციხე. აქ აკაფეს არშელებმა ურჯულო ქისტები, აქ დაუბნელეს მზე ყაჩაღ ოსებს, აქ აკაფეს ლუღუშაურებმა რუსნი... 1929 წელს კოლმეურნეობათა წინააღმდეგ ამხედრებული ხევი ციხეში გაიხიზნა, ციხის გალავანთან ჩაწყდნენ ხევის ვაჟაკები, მტერს თავი არ მოუხარეს...

ციხის კარი ღია იყო მოხვევისათვის.

გულდაიმ მიაღწია ციხეს. ზღუდეზე გადაბობლდა. თოფის კონდახი შემოჰკრა ჯაჭვს.

სიბნელეში თეთრმა წვერმა გაანათა.

მოძღვარი შეეგება გულდაის. იცნო, თოფი ჩამოართვა. გამოქვამულში შევიდნენ. გულდაი ქვის ჯვართან მივიდა...

— დაიფარევ უფალოვ მთის შვილაი — თქვა მოძღვარმა. — მოხვევმ შეჰფიცა ჯვარს, ნახევრამდე ამოსწია ხანჯალი...

გულდაიმ ნაბადი მოიძრო, კუნძზე ჩამოჯდა. კერას ხმელი ფიჩხი დააყარეს, ჩალამებულ კლდეში ცი-



მციმებდნენ ჩინჩხლები... ფიჩხი ტკაცანებდა, ბალი-
აური ჰყვებოდა ამბავს.

4.

გულდაის მთაში გასვლამ სოფელი ააბორგა.
შეშფოთდა ხევი, დაირღვა იღუმალი ცხოვრება.

ლულუშაურებმა უარი თქვეს სალდათობაზე, ბე-
ქაურებმა ცდოს მთას მისცეს თავი. სნოში თავკაცები
მოჰკლეს, საბჭოს ცეცხლი გაუჩინეს.

ამბოხდა მთა.

შინსახკომელთა ბანდას გასაქანი მიეცა. სოფლები-
დან დაიწყეს ცხვრის გარეკვა. მიჰყავდათ ცხენები.
ჰკლავდნენ დეკეულებს, ართმევდნენ ყველს, ერ-
ბოს, მატყლს. მთის დასამშვიდებლად რუსის ჯარი
ამოგზავნეს ხევში.

მეამბოხე სოფლები დაარბიეთ, ქოხებს ცეცხლი,
ავაზაკებს ტყვია, ცხვარი წაართვით... ყველა საექვო
შეიპყარიო, იყო ნაბრძანები.

სიკვდილის აჩრდილი ადგა მთას...

გუშინ ლარსში შინსახკომელებმა მთელი ხევის
ცხვარს მოუყარეს თავი... ღამით დაეცნენ თავს მათ
არშელი ბადაურები, სნოელი ბაზალები, რუსებს
ყელი დასჭრეს, ცხვარი ტყეს მისცეს...

მთა ვაეკაცობს... მტერს ებრძვის...

არშის წყაროსთან ჩოჩქოლია...

მოხუცებს მოუყრიათ თავი. საუბრობენ, თამბაქოს
სწევენ...

ხევში ცხენი შემოქენდა...

სოფელი მოულოდნელმა ხმამ შეარხია...

რამდენჯერმე შემოჰკრეს ზარს...

სოფელში ქოხები ჩაჰკეტეს, პირუტყვი გადამა-
ლეს, ძაღლები აუშვეს. იმარაგებდნენ თოფებს, ეძე-
ბდნენ ხანჯლებს...

— რუს მოვიდის!..

— რუს მოვიდის!.. გერგვინავდა ხმა.

ცხენოსნები მიადგნენ ბალიაურთ უბანს.

ხევისთავმა რალაც ანიშნა ერთ ცხენოსანთაგანს. ხუთნი შეიჭრნენ გულდაის ეზოში. რუსებმა ცხენიდან ჩამოსვლა ვერ მოასწრეს. ბალიაურების ძალღი ვეფხვივით გაექანა ცხენებისაკენ.

— ჭახ!.. იქუხა რევოლვერმა. ძალღი აღარ იყო. გულდაის მეუღლე თავზარდაცემული გამოვარდა გარეთ, რუსებს რომ შეხედა, ჭოხში შევარდა, ურდული გადარაზა. დიაცი თრთოდა.

მეზობელ ჭიუხიდან გაისმა თოფის სროლა... ყორე გადაინგრა. ჯმუხა ჭინჭარაული შეაკედა ონავარ რუსებს...

ლაწა-ლუწი გაჰქონდა გულდაის კარებს. რუსები შევარდნენ ჭოხში.

დიაცი კედელს აკვროდა... ცახცახებდა.

— ეშმაკის დედავ, ყაჩალი მოგვეცი! უყვიროდა იმას რუსი.

ვაი!.. ვაი!.. — შეჰკივლა ქალმა. ზურგში იმან თოფის კონდახი იგრძნო, — გაათრიეთ!.. შეჰკარით!.. — კარებიდან დაიყვირა ვილაცამ... მოვიდნენ შესაკრავად. დიაცს ცეცხლი მოეკიდა.

— ვაი!.. დაიკივლა იმან დამდაგავის ხმით. ხანჯალი გამოაძრო...

— ურჯულოებო, მომკალით! ძლივს მოასწრო ამის თქმა, რუსის ხელმა მოგრიხა ქალის სუსტი მჯჯა, ხანჯალი გაუვარდა. სიმწარისაგან განაწამებმა კბალით ჩააფრინდა ვაჟკაცის მკლავს...

გარედ ბატკნების საზარი ხმა ისმოდა...

ლობის წინ ეგდო სისხლით გასვრილი ძალღი...

მეზობელ კარმიდამოში ქალი კიოდა, სტიროდნენ

— როცაი ჩვენივ თავი ჩვენივ გვეყუდნება, ცხორო არ წავგართმევს ცხორს, რუსის ფეხი რო აკვეთების მთაჩი... — არწმუნებდა იმას გულდაი...

— სისხლი გვმართებს... უსისხლოდ მთაი არ მოიხვეწებს... — უმატებდნენ ახალგაზრდები...

განთიადისას დაცარიელდა ქვაბული...

შვილიოდე მოხვევე მიდიოდა ხევისაკენ. იქ ცხენები ებმენ...

— თეთრაულით გადავალთ... — განუცხადა თავმოყრილებს გულდაიმ...

— გზაი ავ არის... ცხენაი გაიტანს... — წარმოსთქვეს ზოგიერთებმა... ცხენები შეკაზმეს... დაიძრნენ დარიალისაკენ.....

ყაზბეგის საპყრობილე დღეს ადრიადად ამზადებს ეტაპს... მეთამოხე ხეველები საკანიდან გამორეკეს. მათ შორის არიან მოხუცები, ქალები, ახალგაზრდები. გვარცმული სახეებით ისინი ელოდებიან უკანასკნელ გზას... ვლადიკავკავისაკენ, შემდეგი შორს ციმბირს, ყინულიან ტაიგას.

მცველი ქარავანი გამზადდა... დაამწკრიეს ტუსაღნი... ხალხის ბრბო აწყდებოდა ქუჩას... სახურავებზე ასულიყვნენ...

გულდაი ბალიაურის რაზმმა მიაღწია დანიშნულ ადგილს. თერგი გადალახეს, ჭიუხში შევიდნენ, ცხენები საიმედო ადგილს დააბეს.

— ამ ჭიუხს მიუდევ — უთხრა ვოჟაის გულდაიმ. თვითონ მოხუც თორღვაისთან ერთად ნაპრალში ჩაწვა. გზის ორსავე მხარეს კლდეებში ისხდნენ ვადაურები, ბადიაურები, ბეჭაურები.

გულდაის მაგრად ეჭირა თოფი. სიკვდილი ან ხალხის ხსნა.

გამოჩნდნენ ტყვე მოხვევნი, მოაღწიეს გორაკს...

— ჭახ!.. იქუხა პირველმა თოფმა.

— ჭახ!.. ჭახ!.. ერთად გავარდა ხუთი. შარაზე დაეცა ერთი, დაეცა მეორე... თავზარდაცემულმა რუსებმა ტყვეები მიატოვეს, კლდეში გადაცვივდნენ. სეტყვასავით მოდიოდა ტყვია ქიუხებიდან.

— მომყე — გადასძახა ბალიაურმა თორღვას. კლდეზე გადახტა.

— ჭახ!.. იწივლა რევოლვერმა. გულდამ ცეცხლი იგრძნო, დაჰხედა — მკლავიდან მოთქრიალებდა ცხელი სისხლი...

— სისხლი... იღრიალა იმან, ნაბადი გადისროლა, გასისხლიანებული გულდაი შეიჭრა გამოქვამულში, ჩააფრინდა ერთ რუსს ყელში, თავი გაუჩიხა. ნაპრალიდან ვილაცამ ამოსწია რევოლვერი, მისმა ლულამ მიანათა გულდაის შუბლს...

— ჭახ!.. იელვა გარედან თოფმა... აღმართული ხელი ცივად დაუშვა... რევოლვერი გადავარდა. ვოჯის ტყვიამ განგმირა თოფნაკრავი რუსი...

რაზმიდან სამიოდე რუსი გადარჩა, მათ ტყეს მისცეს თავი.

თავზარდაცემული ხალხი შეიკრიბა გამოქვამულში...

ვადაურებიც მოვიდნენ.

გულდაი ბალიაური ნაპრალთან იდგა. კლდის ჩონჩხებზე ეყარენ თავგაჩიხილი რუსები.

ბალიაურს დიაცის გაცივებული ცხედარი ექირა ხელში... იმას მკერდში მოხვედროდა ტყვია...

— ვინ მოჰკლა ბეჩავი! — გულსდამკოდველად წარმოსთქვა მოხუცმა.

— მე, მე უბედურმა — ამოიგმინა გულდამ...

ხალხის ბრბო სევდამ მოიკო...

უჩის ჩასვლისას ლარსის ქიუხებში ბილიკზე მიდი-

ოდნენ განთავისუფლებული მოხვევები...მათ უკან მიდიოდა ცხენი... მხედარს ცხენზე ედო დიაცის ცხედარი... სისხლი მოჟონვდა მის მკერდიდან.

შორს,კავკასიონის მთების გადაღმა ისმოდა გრგვინვა... გულდამ შეაყენა ცხენი...დაჰხედა დიაცის სანთლისფერ ლაწვებს.


— მეთაე...ჩემო ყველაე...შეარხია იმან ქალის ცივი ტანი და ცხელი ცრემლი გადმოაგდო.

— ღმერთავ, ეს გუგუნი გამაგევი ჩემს მთაჩიც...— შეევედრა იგი მეუფეს...

გუგუნი რისხვით უახლოვდებოდა მთას...

ძლევამოსილი გერმანული ლაშქარი ამსხვრევდა იუდა ბოლშევიკების სანგრებს...იწერებოდა ლეგენდარული გამარჯვებათა ახალი ფურცლები.

მთის მიწა ელოდა ზეიმს.



ლეგიონერებო!..

ბაჭეთ „საქართველო“-ს რედაქცია ლეგიონერთათვის უზღვევს საველე ბიბლიოთეკას. ამ ბიბლიოთეკის სერიის პირველი წიგნი არის „ჩვენი სიმღერები“. მზადაა და ახლო ხანში დაიბეჭდება კოეტ ს. ბერეჟიანის ლექსების წიგნი. რედაქციას განუკარგო ხული აქვს გამოსცეს აგრეთვე „საქართველოს მოკლე ისტორია“.

NK 735

